პროლეტარეგო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ხუთშაბათი, 18 აპრილი, 1944 წ. № 79 (7023). ფასი 20 კაპ.

ზღვისპირეთის ცალკე არმიის ჯარებმა დაიკავეს შავი ზღვის ქალაქი და ნავსადგური იალტა,—მოწინააღმდეგის თავდაცვის ერთ-ერთი დასაყრდენი პუნქტი ყირიმის სამხრეთ სანაპიროზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაუმარჯოს მშობლიურ წითელ არმიას, რომელიც ათავისუფლებს საბჭოთა ყირიმის მიწა-წყალს!

ბრძანება
უმაღლესი მთავარსარდლისა
არმიის გენერალ ერიომენკოს

ზღვისპირეთის ცალკე არმიის ჯარებმა, რომელნიც შეტევას ავითარებდნენ, დაიკავეს შავი ზღვის ქალაქი და ნავსადგური **იალტა**, — მოწინააღმდეგის თავდაცვის ერთ-ერთი დასაყრდენი პუნქტი ყირიმის სამხრეთ სანაპიროზე.

იალტის დაკავებისათვის ბრძოლებში თავი გამოიჩინეს გენერალ-მაიორ **პროკოფიევის**, გენერალ-მაიორ **ლუჩინსკის**, გენერალ-მაიორ **როჟდესტვენსკის**, გენერალ-მაიორ **კოლდუბოვის**, პოლკოვნიკ **პრეობრაჟენსკის** ჯარებმა; არტილერიის გენერალ-მაიორ **სოკოლსკის** არტილერისტებმა და საინჟინრო ჯარების გენერალ-მაიორ **პილიპეცის** მესანგრეებმა.

მოპოვებული გამარჯვების აღსანიშნავად ის შენაერთები და ნაწილები, რომლებმაც ყველაზე უფრო გამოიჩინეს თავი **იალტის** განთავისუფლებისათვის ბრძოლებში, წარდგენილ იქნან „**იალტის**" სახელწოდების მისანიჭებლად და ორდენებით დასაჯილდოებლად.

დღეს, 16 აპრილს, 20 საათზე ჩვენი სამშობლოს დედაქალაქი **მოსკოვი** სამშობლოს სახელით — ასოცდაათხი ქვემეხის თორმეტი საარტილერიო ზალპით სალუტს აძლევს ზღვისპირეთის ცალკე არმიის მამაც ჯარებს, რომლებმაც **იალტა** დაიკავეს.

ჩინებული საბრძოლო მოქმედებისათვის **მადლობას ვუცხადებ** თქვენს ხელმძღვანელობაში მყოფ ჯარებს, რომელნიც მონაწილეობდნენ **იალტის** განთავისუფლებისათვის ბრძოლებში.

სამარადისო დიდება გმირებს, რომელნიც დაეცნენ ჩვენი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლებში!

სიკვდილი გერმანელ დამპყრობლებს!

უმაღლესი მთავარსარდალი
საბჭოთა კავშირის მარშალი ი. სტალინი

1944 წლის 16 აპრილი.

ბრძანება
უმაღლესი მთავარსარდლისა

დღეს, 17 აპრილს, 18 საათზე ქალაქ კიევში შესდგება დაკრძალვა არმიის **გენერალ ვატუტინისა**, რომელიც უკრაინის 1-ლ ფრონტს სარდლობდა.

საბჭოთა კავშირის არმია და ფლოტი თავიანთ საბრძოლო დროშებს ხრიან **ვატუტინის** კუბოს წინ და პატივს სცემენ წითელი არმიის ერთ-ერთ საუკეთესო სარდალს.

ბრძანდა: არმიის გენერალ **ვატუტინის** დაკრძალვისას უკანასკნელი მხედრული პატივი მიეგოს გარდაცვალებულს და ჩვენი სამშობლოს დედაქალაქ **მოსკოვში** მიცემულ იქნას სალუტი ოცდათხუთმეტი ქვემეხის ოცდათხუთმეტი საარტილერიო ზალპით.

უმაღლესი მთავარსარდალი
საბჭოთა კავშირის მარშალი ი. სტალინი

1944 წლის 17 აპრილი.

უკანასკნელი მხედრული პატივი

17 აპრილს **18** საათზე საბჭოთა კავშირის არმიამ და ფლოტმა თავიანთი საბრძოლო დროშები დახარეს გამოჩენილი სარდლის არმიის გენერალ ნ. ო. ვატუტინის კუბოს წინაშე.

დაკრძალვის ჟამს, როცა განთავისუფლებული კიევის მიწამ განსვენებულის ნეშტი მიიბარა, მოსკოვში, უმაღლესი მთავარსარდლის საბჭოთა კავშირის მარშალ ამხანაგ სტალინის ბრძანებით, მიცემულ იქნა სამგლოვიარო სალუტი 24 ქვემეხის 24 საარტილერიო ზალპით. ჩვენი სამშობლოს დედაქალაქმა უკანასკნელი მხედრული პატივი მიაგო წითელი არმიის სახელოვან სარდალს, რომლის ხსოვნა სამუდამოდ დარჩება საბჭოთა ხალხის გულში.

სალუტი გადაცემულ იქნა რადიოთი. (საკდესი).

მოწინააღმდეგის ზარალი და უკრაინის მე-2 ფრონტის ჯარების ნადავლი ამა წლის 6 მარტიდან 15 აპრილამდე წარმოებული ბრძოლების პერიოდში

უკრაინის მე-2 ფრონტის ჯარებმა საბჭოთა კავშირის მარშალ **კონევის** სარდლობით ამა წლის 6 მარტიდან 15 აპრილამდე ჩატარებული შეტევითი ოპერაციების შედეგად შემდეგი ზარალი მიაყენეს მოწინააღმდეგეს ცოცხალი ძალისა და ტექნიკის მხრივ:

მოსპობილია: 142 თვითმფრინავი, 688 ტანკი და თვითმავალი ქვემეხი, სხვადასხვა ყალიბის 1.474 ქვემეხი, 1.838 ნაღმსატყორცნი, 3.660 ტყვიამფრქვევი, 356 ჯავშნიანი მანქანა და ჯავშანტრანსპორტიორი, 25.111 ავტომანქანა, 248 საწვავარი, 6.458 საზიდარი, 8.740 ცხენი, 63 საწყობი საომარ მასალიანად და სამხედრო-ტექნიკურ ქონებიანად.

მოწინააღმდეგემ ბრძოლის ველზე დასტოვა ჯარისკაცთა და ოფიცერთა 118.400 გვამი.

ამავე დროის განმავლობაში **უკრაინის** მე-2 ფრონტის ჯარებმა **ხელთ იგდეს** შემდეგი დავლა: 27 თვითმფრინავი, 731 ტანკი და თვითმავალი ქვემეხი, სხვადასხვა ყალიბის 1.356 საველე ქვემეხი, 1.156 ნაღმსატყორცნი, 2.090 ტყვიამფრქვევი, 27.093 შაშხანა, 204 ჯავშნიანი მანქანა და ჯავშანტრანსპორტიორი, 15.096 ავტომანქანა, 149 საწვავარი, 198 რადიოსადგური, 1.470 საზიდარი, 6.260 ცხენი, 71 ორთქლმავალი, 4.009 ვაგონი, 6.340 ათასი უყუმბარა, 76 საწყობი სამხედრო-ტექნიკურ ქონებიანად.

ტყვედ წამოყვანილია 27.393 გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი.

ამრიგად, გერმანელთა საერთო ზარალი საბრძოლო ტექნიკის მთავარ საზღვრებათა და ცოცხალი ძალის მხრივ **უკრაინის** მე-2 ფრონტის შეტევითი ოპერაციების განმავლობაში შეადგენს: 145.793 კაცს ტყვეთა და მოკლულთა სახით, 169 თვითმფრინავს, 1.419 ტანკსა და თვითმავალ ქვემეხს, სხვადასხვა ყალიბის 2.830 ქვემეხს, 2.994 ნაღმსატყორცნს, 5.750 ტყვიამფრქვევს, 560 ჯავშნიან მანქანასა და ჯავშანტრანსპორტიორს, 40.207 ავტომანქანას.

საბჭოთა საინფორმაციო ბიურო.

ჩვენმა ჯარებმა დაიკავეს ქალაქი იალტა

მოსკოვი არმია, 17 აპრილი. (**საკდესის სპეც. კორ.**). ზღვისპირეთის ცალკე არმიის ნაწილები შტურმს ზედიზედ აყენებენ გამანადგურებელ დარტყმებს. თავისი უანდახეთის გზაზე მოწინააღმდეგე დიდძალ ტექნიკას, მრავალ მოკლულ ჯარისკაცსა და ოფიცერს სტოვებს. ჩვენი შემტევი ჯარების უკან დარჩა ქერჩი, სანაპადგურო ქალაქი ფეოდოსია, გერმანელებისა და რუმინელების მიერ გაძარცული კურორტი კოქტებელი, სტარი კრიმი, არტეკი, ალუშტა, დარჩა მრავალი განთავისუფლებული ქალაქი და სოფელი, რომელთა მოსახლეობა აუწერელი სიხარულით ეგებება თავის განმთავისუფლებლებს.

აშარი ტყეებით გარშემორტყმული დაკლაკნილი ზღვისპირა გზებით მიდის საბჭოთა მძიმე არტილერია, მიდიან ტანკები, მოტორიზებული ქვეითი ჯარი. ჩვენი მეომრები სულოსმოთქმის საშუალებას არ აძლევენ მტერს მთებშიც. გერმანელებმა და რუმინელებმა აიფეთქეს ხიდები მკვეთრ მოსახვევებზე, მთის გზებზე იმ იმედით, რომ გაეცლებოდნენ საბჭოთა ჯარებს. მაგრამ ეს მათ ვერ შესძლეს. ზღვისპირელები სდევნიან მტრის კოლონებს და დიდ ზარალს აყენებენ მათ.

ყირიმის ცაში ჩვენი მოიერიშენი და ბომბდამშენები ბატონობენ. ისინი თანამოქმედებენ სახმელეთო ჯარებთან და უანდახეულ მოწინააღმდეგეს ცეცხლის გრიგალს უშენენ. ძველად გასავლელი მთის ბილიკებით მტრის ზურგში შედიან მეავტომატეთა მოძრავი ქვემეყოფები და პარტიზანული რაზმები, უკანდასავე გზებს უჭრიან გერმანელთა და რუმინელთა ჯარებს.

სანამ მოწინააღმდეგე ახდენს მფრინავების მიერ შექმნილ დაბრკოლებათა ლიკვიდაციას და ბრძოლას ეწევა მოძრავ ქვეგანაყოფებთან და პარტიზანებთან, მამაც მესანგრეებს ტანკებისა და მოტონაწილების გასასვლელი გზები გაჰყავთ.

ორ ჩვენი მებრძოლების გმირობისა და შეუპოვრობის მაგალითი. ლეიტენანტ მურაშოვის ტანკმა დასძლია დაბრკოლება, შეიჭრა ჰიტლერელთა კოლონაში და ცეცხლითა და მუხლუხებით მოსპო მტრის მრავალი ჯარისკაცი და ოფიცერი. ტანკის ეკიპაჟმა ტყვედ წამოიყვანა 80 გერმანელი და რუმინელი.

პარტიზანების მიერ ტყვედ წამოყვანილმა რუმინელთა მე-3 სამთო-მსროლელი დივიზიის ერთ-ერთი ბატალიონის მეთაურმა განაცხადა:

— მე ვფიქრობდი, რომ მთებში შესვენებას ვპოვებდით. მაგრამ ერთი მხრიდან რუსების რეგულარული ნაწილები გვავიწროებდნენ, ზეგიდან კი პარტიზანებმა დაგვარტყეს. ჩემი ბატალიონის 720 ჯარისკაციდან ცოცხალი დარჩა მხოლოდ 210 კაცი. ისინი ჩემთან ერთად აქ, ტყეებში აღმოჩნდნენ.

გერმანელებმა დაიკავეს თავდაცვა გაბატონებულ მაღლობზე და ქვემეხების მასირებული ცეცხლი დაუშინეს ჩვენს ტანკებს, რომლებიც მათ პოზიციებს უახლოვდებოდნენ. სატანკო ასეულის მეთაურმა ფლასენკომ თავის ტანკებს გზიდან გადაახვევინა და წაიყვანა ისინი ხრამებითა და ხევებით. ტანკებმა გადალახეს ბუნებრივ სიმაგრეთა წყება, სწრაფად ავიდნენ მეზობლად მდებარე მაღლობზე და დაუშინეს გერმანელ არტილერისტებს, რომლებიც ხაფანგში აღმოჩნდნენ. შემოსავლელი გზებით ტანკისტები ძირითადს კომუნიკაციებზე გავიდნენ და მოსწყვიტეს მოწინააღმდეგის დიდი ჯაგუფება. ტანკები „მეავტომატეთა დესანტით შეიჭრნენ მტრის კოლონაში, რომელიც 300 ავტომანქანისა და 1.000 საზიდრისაგან შესდგებოდა. ტანკისტები ცეცხლითა და მუხლუხებით ამსხვრევდნენ მანქანებს, ყლეტდნენ მტერს. მრავალი ჰიტლერელი ჯარისკაცი და მანქანა იქნა მოსპობილი.

ჩვენი ნაწილები განუწყვეტლივ მიიწევენ წინ და მტერს თავს ახვევენ ბრძოლას მთის ახალ ზღვეებზე. ზღვისპირეთის ცალკე არმიის ჯარებმა მთლიანად გასწმინდეს ყირიმის წახვეკარუნძულის აღმოსავლეთი ნაწილი და დაიკავეს ქალაქი და ნავსადგური შავ ზღვაზე იალტა — მოწინააღმდეგის თავდაცვის ერთ-ერთი დასაყრდენი პუნქტი ყირიმის სამხრეთ სანაპიროზე.

მ. ტუროვსკი

პოლესიეს ოლქის დაბა აზარიჩის რაიონში სიკვდილის გერმანული ბანაკიდან მამაცი წითელი არმიის მიერ განთავისუფლებული საბჭოთა ბელორუსიის მოქალაქეთაგან

მოსკოვი, კრემლი

ამხანაგ სტალინს

ჩვენო ძვირფასო მამავ, საყვარელო ბელადო, წითელი არმიის მხედართმთავარო, ამხანაგო სტალინ!

გწერთ ადამიანები, რომლებმაც ესეს არის დავაღწიეთ თავი სიკვდილის გერმანულ ბანაკს. ჩვენი წერილის პირველი სტრიქონებით თქვენ, საყვარელო მამავ, გადმოგცემთ მხურვალე მადლობას მოხუცთაგან, დედებისაგან, ვაჟიშვილებისაგან, ქალიშვილებისაგან, შვილიშვილებისაგან, მადლობას ყველა ჩვენგან — 33.434 კაცისაგან, რომელნიც გვიხსნეს სიკვდილის ფაშისტური ბანაკიდან.

ორ წელიწადზე მეტ ხანს გვაწამებდნენ ფაშისტი გერმანელი მტარვალები. 1943 წლის შემოდგომაზე გერმანელებმა იწყეს ჩვენი კუთხის მამაკაცებისა და ახალგაზრდობის გარეკვა გერმანულ კატორღაში. ჩვენი ადამიანები იმალებოდნენ. გამხეცებულმა ჰიტლერელებმა ხელი მიჰყვეს ჩვენი სოფლების გადაწვას. სოფლები ფალევიჩი, ტოლოჩკი, ვოლოკი, მორტკოვი მათ სულ ერთიანად გადაბუგეს. სოფელ ფალევიჩში გერმანელებმა მხეცურად აწამეს 285 კაცი. მაგრამ ეს ეცოტავათ. მათ ტერორი დაამყარეს ულობინის, პარიჩის, სტრეშინის, კოპატკევიჩის, კიროვის, ბიხოვის, ოქტომბრის, დომანოვიჩის, როგაჩოვის რაიონთა ყველა სოფელში. ხალხი იღუპებოდა მთელი ოჯახობით, დიდით პატარამდე, იღუპებოდნენ ჭაღარა მოხუცნი, ძუძუთა ბავშვები. ხალხს სწვავდნენ სახლებში, ხოლო იმათ, ვინც ორმოებში იმალებოდა, გრანატებს აყრიდნენ. ფაშისტმა კაციჭამიკვლელებმა ბანაკში გაირეკეს ყველა, ვისი შეპყრობაც კი მოახერხეს. ულობინ-იუჟნაიას სადგურზე გერმანელებმა გადაარჩიეს ახალგაზრდები და ბრ ვიცით სად გაირეკეს. ყველა დანარჩენი თბილისებში შეგვრეკეს, მაგრად დაგვიხშეს კარები, ცაც კი აღარ დაგვანახვეს. ჩვენ არ ვიცოდით, თუ სად მივყავდით. როგორც შემდეგ გამოირკვა, ჩვენ წავეყვანეთ რუდობელკოვსკის შტოთი და სადგურ რაბკორზე გადმოგვსხეს. ღამით კვლავ გაგვრეკეს. გზაზე ბადრაგები თოფს ესროდნენ ჩამორჩენილთ. ასე ვიარეთ 12-15 კილომეტრი. დედებს ძუძუთა ბავშვები მოჰყავდათ და ისე დაიღალნენ, რომ ნაბიჯის გადადგმაც აღარ შეეძლოთ, მათ იქვე ხოცავდნენ გერმანელი მტარვალები. აი მოდის ქალი, თან მოჰყავს სამი ბავშვი, ერთი პაწია ჩამორჩა. გერმანელმა თოფი ესროლა მას. როცა დედა და ორი ბავშვი გაჩერდნენ, მხეცმა ჯარისკაცმა ისინიც დახოცა რიგრიგად. მოდიან დედა - შვილი ბონდარევები. პატარა ბიჭმა ვეღარ გასძლო, წაიქცა, დედა დაიხარა, უნდოდა სიტყვით ენუგეშებინა ბავშვი, გერმანელმა ბანდიტმა მოჰკლა დედა.

ჩვენ მიგვრეკეს ჭაობზე, რომელსაც გარს ერტყა ეკლიანი მავთული. აქ დაიწყო გულგამგმირავი სცენები. ბანაკში ხალხი იხოცებოდა არა მარტო სიცივითა და შიმშილით, არამედ წყურვილითაც. ერთ მოსშა წყალში გერმანელები გვართმევდნენ ყველაფერს, რაც კი გვებადა: ბეჭდებს, ფულს. ხალხი ხელით თხრიდა მიწას და პირს ისველებდა ტენით. მალე სითბო ყინვებით შეიცვალა და ბანაკში დამზრალნი გაჩნდნენ. გვამები ეყარა, არავის გაჰქონდა. გერმანელი ჯარისკაცები ბანაკში გვეჭრებოდნენ და ტანჯულთ გვხდიდნენ ჩექმებს, პალტოებს. იმასაც კი არ ერიდებოდნენ, რომ ბავშვებისათვის ბეღებიდანთ ფეხსაცმელი და ტანსაცმელი. ქალაქ ულობინიდან წამოყვანილმა ბიჭებმა ტოლია ჩიკილოვმა და ვიქტორ მელნიკოვმა პროტესტი განაცხადეს, როცა მათ ფეხსაცმლის გახდა დაუწყეს, რისთვისაც ისინი სახეში დასჭრეს ტყვიით.

ბანაკი, რომელშიც ჩვენ ვიმყოფებოდით, პოლესიეს ოლქის დაბა აზარიჩის ახლოს მდებარეობს. მას გარს ერტყა ეკლიანი მავთული და დანაღმული იყო. ნაღმებზე აფეთქდა 140-ზე მეტი კაცი.

ასე გადიოდა დღეები. ათასობით ადამიანი იღუპებოდა. სიკვდილის ამ ბანაკში გერმანელმა მტარვალებმა 30 ათასზე მეტი კაცი აწამეს და მოსპეს.

ჩვენო ძვირფასო მამავ, საყვარელო ბელადო, წითელი არმიის მხედართმთავარო, ამხანაგო სტალინ!

ჩვენ გვსურს მოგახსენოთ, რომ ჩვენს შორის, სიკვდილის გერმანული ბანაკიდან წითელი არმიის მიერ განთავისუფლებულთა შორის, არის 15.960 ბავშვი. ბავშვთა უმეტესობა ობოლია. გერმანელებმა მხეცურად აწამეს მათი მშობლები. ამ ბავშვებს, როგორც საკუთარ შვილებს, ჩვენ სიცოცხლის დაუზოგავად ვიფარავდით გერმანელი კაციჭამიებისაგან. ჩვენ, რომლებმაც დავკარგეთ ქონებაზ, ნივთები, რამდენადაც ძალ-ღონე შეგვწევდა, ვინახავდით ჩვენს საყვარელ საბჭოთა ბავშვებს. ბევრი ჩვენგანი საკუთარი სხეულით გადაეფარებოდა ხოლმე ობოლ ბავშვებს, რათა მხეცი გერმანელებისაგან ეხსნა.

ჩვენო მშობლიურო მამავ, ამხანაგო სტალინ! ამ საშინელ ტრაგიკულ დღეებში მხოლოდ თქვენი სახელი გვინარჩუნებდა ძალებს, თქვენი სახე გვითბობდა სულს. და იმ საშინელ ტრაგიკულ წუთს, როცა გვეგონა, რომ სული გვზდებოდა, — თქვენგან მივიღეთ ხსნა. ეს იყო ჩვენი მშობლიური წითელი არმია. სიტყვები არა გვყოფნის, რომ გადმოგცეთ ჩვენი მადლობის გრძნობა. როცა 19 მარტს ჩვენი ბანაკის ახლოს პირველი წითელარმიელი მზვერავები დავინახეთ, — ჩვენ მათი ვინაობა არ ვიცით, მაგრამ ბედნიერი იყოს მთელი მათი სიცოცხლე,—ბედნიერებისა და მღელვარებისაგან ავტირდით. და ჩვენი პირველი სიტყვა წარმოითქვა თქვენს პატივსაცემად, ჩვენო ძვირფასო მამავ. მარად დალოცვილ იყოს თქვენი სახელი. თქვენ მოგვიტანეთ განთავისუფლება, დაგვიბრუნეთ სიცოცხლე, დაუბრუნეთ ბავშვებს დედები, კვლავ შეგვასხით ფრთები, კვლავ მივეცით აზრი ჩვენს სიცოცხლეს, სიცოცხლის წყურვილით აგვივსეთ გული.

რა სასიხარულო რამ არის საბჭოთა ქვეყანაში ცხოვრება! ახლა ჩვენ ვიმყოფებით საბჭოთა ბელორუსიის განთავისუფლებულ რაიონებში. ბელორუსიის სს რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭომ და ბელორუსიის პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა ღვიძლი შვილებივით მიგვიღო. ჩვენ გარემოსილი ვართ ზრუნვით. დაჭრილები და ავადმყოფები ჰოსპიტლებში არიან მოთავსებული. ახლა ჩვენ ყველანი თბილ ბინებში ვიმყოფებით. ცხელი საჭმელი გვეძლევა. ვისაც გვესაჭიროება, გვაცმევენ, ობოლ ბავშვებს სპეციალურ სახლებში აწყობენ. მხოლოდ ჩვენს საბჭოთა ქვეყანაში არის ძვირფასი ყოველი ადამიანი, და საბჭოთა ადამიანის სიცოცხლის უსაზღვრო ფასს ყოველი ჩვენგანი განსაკუთრებული ძალით რეალურად გრძნობს თავის თავზე.

ჩვენ სწრაფად ვიკრებთ ძალ-ღონეს. მალე წავალთ საბჭოთა ბელორუსიის განთავისუფლებულ რაიონებში, სადაც საკოლმეურნეო მინდვრებში, ფაბრიკა-ქარხნებში თავდადებული შრომით მადლობას გადავუხდით ლენინ-სტალინის პარტიას, წითელ არმიას, მადლობას გადაგიხდით თქვენ, ამხანაგო სტალინ, თავდადებული, ბეჯითი შრომით გადაგიხდით მადლობას ჩვენი განთავისუფლებისათვის.

მოვუწოდებთ წითელი არმიის მეომრებს, პარტიზანებს — ჩვენს ვაჟიშვილებს, მამებს, ძმებს—შური იძიონ ჩვენთვის, უფრო ულმობლად ანადგურონ, მოსპონ ბავშვისმკვლელი გერმანელნი, ანადგურონ, როგორც ცოფიანი ძაღლები, როგორც ჯოჯოხეთის მოციქულ ჰიტლერის მახინჯი ნაშიერნი.

სიკვდილი და შურისგება გერმანელ დამპყრობლებს!

ჩვენო საყვარელო მამავ და ძვირფასო ბელადო, იოსებ ბესარიონისძევ, ერთხელ კიდევ სულითა და გულით გიძღვნით წრფელ მადლობას. გისურვებთ კიდევ მრავალი და მრავალი წლის სიცოცხლეს, გისურვებთ ჯანსაღობასა და ღონეს, რათა შესძლოთ კიდევ მრავალ წელს ატაროთ ჩვენი ხალხი აყვავების, ძლიერებისა და უკვდავი დიდების გზით.

დიდება დიად საბჭოთა კავშირს!

დიდება გმირ წითელ არმიას და მის მარშალს ამხანაგ სტალინს!

მიღებულია საბჭოთა ბელორუსიის იმ მოქალაქეთა კრებებზე, რომელნიც განთავისუფლებული არიან პოლესიეს ოლქის დაბა აზარიჩის ახლოს ჭაობებში მდებარე სიკვდილის გერმანული ბანაკიდან.

ხელს აწერს 10 ათასზე მეტი კაცი.

სსრ კავშირის ორდენებისა და მედლების გადაცემა

1944 წლის 17 აპრილს საქართველოს სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ამხ. გ. თ. სტურუამ, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დავალებით, ორდენები და მედლები გადასცა დაჯილდოებულთა ჯგუფს.

ორდენები და მედლები ეძლევა საქართველოს სს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის კოლმეურნეთა და მუშაკთა ჯგუფს, რომელიც სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1944 წლის 7 იანვრის ბრძანებულებით დაჯილდოებული არიან სოფლის მეურნეობისა და მეცხოველეობის დარგში მთავრობის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის.

ლენინის ორდენი გადაეცათ ამხანაგებს მ. ვ. ალავერდაშვილს, ს. გ. უსენაშვილს და ო. ი. ჩიგიტაშვილს.

შრომის წითელი დროშის ორდენი გადაეცათ ამხანაგებს გ. ა. გოძიაშვილს, ი. ა. ფეიქრიშვილს, შ. დ. ნუცუბიძეს, ს. ი. ფალაშვილს და დ. გ. რამიშვილს.

„საპატიო ნიშნის" ორდენი გადაეცათ ამხანაგებს ტ. ს. ტარყაშვილს, ზ. ი. ნაცვლიშვილს, ვ. მ. მაზიაშვილს, ვ. პ. კანაშვილს, ა. ი. ფხალაძეს, ზ. ვ. ფალდიაშვილს, ი. ბ. ლაზაშვილს, ა. ს. სვიმონიშვილს, ტ. ზ. ზაკაიშვილს, გ. ს. სეხნიაშვილს, მ. დ. გიორგანაშვილს, ა. მ. ტოკლიკიშვილს და გ. ვ. ნატროშვილს.

მედალი „შრომითი მამაცობისათვის" ეძლევა 14 კაცს;

მედალი „შრომითი წარჩინებისათვის" ეძლევა 15 კაცს.

ორდენებისა და მედლების გადაცემის შემდეგ ამხ. გ. თ. სტურუამ მოკლე სიტყვით მიმართა დაჯილდოებულთ. მან გულითადად მიულოცა დაჯილდოებულთ და შემდგომ წარმატება უსურვა მუშაობაში. (საქდესი).

თესვის გეგმის შესრულება

წითელწყაროს რაიონმა 15 აპრილისათვის, ვადაზე 25 დღით ადრე, 100,4 პროცენტით შესრულა საგაზაფხულო თესვის გეგმა. გეგმით გათვალისწინებული 11.470 ჰექტარის ნაცვლად დათესილია 11.516 ჰექტარი. ამავე რიცხვისათვის მოსნული იყო 12.030 ჰექტარი. ხვნის გეგმა შესრულებულია 105 პროცენტით. ხვნა-თესვა გრძელდება.

საქართველოს კ. პ. (ბ) წითელწყაროს რაიკომის მდივანი შ. გელაშვილი
რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ვ. მირიანაშვილი

ამხანაგ ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვს

საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭო თქვენი დაბადების ორმოცდაათი წლისთავას დღეს მხურვალედ მოგესალმებიან თქვენ, ლენინ-სტალინის პარტიის ერთგულ შვილს, პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს გამოჩენილ მოღვაწეს, საბჭოთა უკრაინის მთავრობის მეთაურს და უკრაინის ბოლშევიკების ხელმძღვანელს.

გისურვებთ თქვენ, ძვირფასო ნიკიტა სერგის-ძევ, მრავალ წელს ჯანმრთელობას და შემდგომს წარმატებებს ჩვენი სამშობლოს ხალხთა თავისუფლებისა და ბედნიერებისათვის ბრძოლაში.

საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი — **სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭო**

კიევი

ამხანაგ ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვს

საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სს რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო თქვენი დაბადების ორმოცდაათი წლისთავზე მხურვალედ მოგესალმებათ თქვენ, ბოლშევიკური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს გამოჩენილ მოღვაწეს, დიდი **სტალინის** ერთგულ მოწაფეს და თანამებრძოლს.

გისურვებთ თქვენ, მომავ საბჭოთა უკრაინის მთავრობის მეთაურს, ხანგრძლივ ჯანმრთელობასა და შემდგომს ნაყოფიერ მუშაობას ჩვენი დიადი სამშობლოს საკეთილდღეოდ.

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი — **საქართველოს სს რესპუბლიკის სახალხო მსაბჭო**

1944 წლის 17 აპრილი.

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ

ამხ. **ნ. ს. ხრუშჩოვის** დაბადებიდან 50 წლისთავის შესრულებასთან დაკავშირებით და პარტიისა და საბჭოთა ხალხის წინაშე მისი თვალსაჩინო დამსახურების გამო ამხ. ნიკიტა სერგის-ძე **ხრუშჩოვი** დაჯილდოებულ იქნას **ლენინის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. კალინინი
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. გორკინი

მოსკოვი, კრემლი.

1944 წ. 16 აპრილი.

იტალიის პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ

16 აპრილს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატში შესდგა საბჭოთა და უცხოელ ჟურნალისტთა პრეს-კონფერენცია, რომელზედაც სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილემ ამხ. ა. ი. ვიშინსკიმ, იტალიის პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ შემოსულ შეკითხვებთან დაკავშირებით, შემდეგი განცხადება გააკეთა:

ამჟამად იტალიას, სადაც მოკავშირეებს დიდ. პლაცდარმი აქვთ ჰიტლერული გერმანიის წინააღმდეგ საბრძოლველად, უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს გერმანიის დამარცხების დაჩქარების საქმეში. უკვე შვიდი თვე გავიდა მას შემდეგ, რაც დროებითი ზავი დადო ბადოლიოს მთავრობასთან. ეს ვადა საკმაოდ დიდი იყო იმისათვის, რომ განთავისუფლებული იტალიის დემოკრატიული და ანტიფაშისტური ძალები გაერთიანებულიყვნენ, რათა აქტიური მონაწილეობა მიეღოთ მოკავშირეთა სამხედრო ღონისძიებებში ჰიტლერისა და მუსოლინის ფაშისტური ბანდის შეიარაღებული ძალების წინააღმდეგ. ამავე დროს იტალიაში დემოკრატიული და ანტიფაშისტური ძალების ასეთი გაერთიანების ნაცვლად ჯერ კიდევ შინაგანი ბრძოლა მიმდინარეობს. იბრძვიან ერთი მხრივ ბადოლიოს მთავრობა, რომელსაც მხარს უჭერენ მოსახლეობის გარკვეული ჯგუფები, რომელნიც გამოსთქვამენ მზადყოფნას მონაწილეობა მიიღონ გერმანელ ფაშისტ მჩაგვრელთა წინააღმდეგ დემოკრატიული ქვეყნების საერთო ბრძოლაში, მეორე მხრივ მუდმივი აღმასრულებელი ჯუნტა, რომელსაც თავის მხარეზე ჰყავს საკმაოდ ფართო გაერთიანება დემოკრატიული ელემენტებისა, რომელნიც გამოსთქვამენ მისწრაფებას — მოკავშირეებთან ერთობლივად აქტიურად იმოქმედონ ჰიტლერული გერმანიის წინააღმდეგ.

საქმის ასეთი მდგომარეობა მხოლოდ მოკავშირეთა მტრების სასარგებლოა. ამ მდგომარეობის აღმოფხვრა, დემოკრატიული და ანტიფაშისტური ძალების ერთიანობის უზრუნველყოფა და იტალიაში დაუყოვნებლივ შექმნა ისეთი მთავრობისა, რომელსაც შეეძლება გაერთიანოს ეს ძალები გერმანიის წინააღმდეგ მოკავშირეთა საერთო ბრძოლის სასარგებლოდ და გერმანიის განადგურების დასაჩქარებლად, გადაუდებელ საქმეს წარმოადგენს.

ზემოაღნიშნულის მიხედვით, საბჭოთა მთავრობამ, მხარს უჭერს რა მისწრაფებას იმ პოლიტიკური ჯგუფების ბანაკში არსებული განხეთქილების უსწრაფესი ლიკვიდაციისაკენ, რომელნიც მზად არიან მონაწილეობა მიიღონ მოკავშირეთა ბრძოლაში გერმანიის დამარცხების დასაჩქარებლად, წინადადებით მიმართა ამერიკის შეერთებული შტატებისა და დიდი ბრიტანეთის მთავრობებს—ერთობლივად განიხილონ საკითხი განთავისუფლებული იტალიის ყველა დემოკრატიულ და ანტიფაშისტურ ძალთა გაერთიანების ღონისძიებების იმ ბაზაზე, რომ ბადოლიოს მთავრობის შემადგენლობა სათანადოდ იქნება გაფართოებული ამ მთავრობაში ანტიფაშისტური პარტიების წარმომადგენელთა შეყვანის გზით. როგორც ცნობილია, მოსკოვის კონფერენციამ, რომელმაც მტკიცე ბაზა შეუქმნა მოკავშირეთა ერთობლივ მოქმედებას იტალიის მიმართაც, პირდაპირ მიუთითა, რომ „საჭიროა, რათა იტალიის მთავრობა უფრო დემოკრატიული შეიქმნას იტალიელი ხალხის იმ ფენების წარმომადგენელთა შეყვანის გზით, რომელნიც ყოველთვის გამოდიოდნენ ფაშიზმის წინააღმდეგ".

აზრთა გაცვლა-გამოცვლას, რაც ამ უკანასკნელ ხანს მოხდა სსრ კავშირსა, ამერიკის შეერთებულ შტატებსა და დიდ ბრიტანეთს შორის, მოჰყვა ამ საკითხის დაყენება იტალიის საქმეთა საკონსულტაციო საბჭოს განსახილველად. საკონსულტაციო საბჭომ ამას წინათ მიღებულ რეზოლუციაში განაცხადა, რომ იგი მიესალმებოდა მთავრობის საკითხის დამაკმაყოფილებელ გადაწყვეტას და მარშალ ბადოლიოს მიერ ფართო საფუძველზე, ისეთი მთავრობის დაუყოვნებლივ შედგენას, რომელიც ყველა პარტიას წარმოადგენდა. საკონსულტაციო საბჭომ საჭიროდ აღიარა აგრეთვე, რათა ახალმა მთავრობამ ფორმალურად განაცხადოს, რომ მას სურს იკისროს ბადოლიოს მთავრობის მიერ მოკავშირეთა მიმართ ნაკ

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

16 აპრილის ოპერაციული ცნობიდან

16 აპრილის განმავლობაში კიშინიოვის მიმართულებით ჩვენმა ჯარებმა მთელ რიგ უბნებზე გადალახეს მდინარე დნესტრი, ხელთ იგდეს პლაცდარმები მდინარის მარჯვენა ნაპირზე და ეწეოდნენ ბრძოლებს მათ გასაფართოებლად.

ქალაქ ტირასპოლის სამხრეთით ჩვენმა ჯარებმა გადალახეს **დნესტრი**, დაიკავეს დასახლებული პუნქტები **ურსო�ა**, **კიცკანი**, **კოკანკა** და ეწეოდნენ ბრძოლებს დაკავებული პლაცდარმის გასაფართოებლად.

ზღვისპირეთის ცალკე არმიის ჯარებმა, რომელნიც შეტევას ავითარებდნენ, დაიკავეს შავი ზღვის ქალაქი და ნავსადგური **იალტა**, მოწინააღმდეგის თავდაცვის ერთ-ერთი დასაყრდენი პუნქტი **ეირინმის** სამხრეთ სანაპიროზე, აგრეთვე ბრძოლებით დაიკავეს 40-ზე მეტი სხვა დასახლებული პუნქტი, მათ შორის ქალაქი **ალუპკა**, საკურორტო დაბები **გურზუფი**, **ლივადია**, **კორეიზი**, **სიმეიზი**, **არტეკი**, **კიკენეიზი** და დასახლებული პუნქტები **ადიმ-ჩოკრაკი**, **კოკლუზი**, **კოკოზი**, **ლიმენი**, **კუჩუკკოი**.

ფრონტის სხვა უბნებზე მნიშვნელოვანი მოქმედებდნენ და მთელ რიგ პუნქტებში აღგილობრივი მნიშვნელობის ბრძოლები სწარმოდა.

15 აპრილის განმავლობაში ჩვენმა ჯარებმა ყველა ფრონტზე დააზიანეს და მოსპეს გერმანელთა 91 ტანკი. საჰაერო ბრძოლებში და საზენიტო არტილერიის ცეცხლით ჩამოგდებულია მოწინააღმდეგის 78 თვითმფრინავი.

* * *

ჩვენი ავიაცია თავს დასხა რკინიგზის სადგურსა და ნავსადგურ სევასტოპოლს

15 აპრილს ღამით ჩვენმა ავიაციამ კვლავ მოახდინა თავდასხმა რკინიგზის სადგურსა და ნავსადგურ სევასტოპოლზე. დაბომბვის შედეგად რკინიგზის სადგურზე გაჩნდა ხანძრები. განსაკუთრებით დიდი ხანძრები ჭკანახშირ-ნავთის ნავმისადგომის რაიონში. ბომბების პირდაპირი მოხვედრებით ჩაძირულია მოწინააღმდეგის 3 ათასი ტონა წყალწყვის ტრანსპორტი, რომელიც ნავსადგურში იდგა. მეთვალთვალეებმა აღნიშნეს აგრეთვე რამდენიმე ძლიერი აფეთქება იმ გემებს შორის, რომელნიც სამხრეთ ბუხტში იყვნენ.

17 აპრილის ოპერაციული ცნობა

17 აპრილის განმავლობაში **კიშინიოვის** მიმართულებით ჩვენი ჯარები კვლავ სძლევდნენ მტრის წინააღმდეგობასა და კონტრიერიშებს, განაგრძობდნენ ბრძოლებს **დნესტრის** მარჯვენა ნაპირზე დაკავებულ პლაცდარმთა გასაფართოებლად და პოზიციები გაიუმჯობესეს.

სევასტოპოლის მიმართულებით ჩვენი ჯარები კვლავ სძლევდნენ მტრის წინააღმდეგობასა და საინჟინრო ღობურების სისტემას **ეირინმის** სამხრეთ სანაპიროს მთა-ტყიან ნაწილში, შეტევას განაგრძობდნენ და ბრძოლებით დაიკავეს დასახლებული პუნქტები **მეკენზია**, **ჩერკეზ-კერმენი**, **უპა**, **უზენბაში**, **ვერხნი ჩორგუნი**, **მუხალატკა**, **მელასი**, **ფოროსი**, **ბაიდარი**, **ვარნუტკა**.

ფრონტის სხვა უბნებზე მთელ რიგ პუნქტებში აღგილობრივი მნიშვნელობის ბრძოლები მიმდინარეობდა.

16 აპრილის განმავლობაში ჩვენმა ჯარებმა ყველა ფრონტზე დააზიანეს და მოსპეს გერმანელთა 60 ტანკი. საჰაერო ბრძოლებში და საზენიტო არტილერიის ცეცხლით ჩამოგდებულია მოწინააღმდეგის 62 თვითმფრინავი.

* * *

ჩვენი ავიაციის მასირებული თავდასხმა რკინიგზის კვანძსა და სამდინარო ნავსადგურ გალაცზე

16 აპრილს ღამით ჩვენმა შორი მოქმედების ავიაციამ მასირებული თავდასხმა მოახდინა რკინიგზის კვანძსა და სამდინარო ნავსადგურ გალაცზე (რუმინეთი). დაბომბვის შედეგად რკინიგზის კვანძზე ბევრი ხანძარი გაჩნდა, რასაც თან ახლდა ძლიერი აფეთქებანი. ხანძარი გავრცელდა და მოედო რკინიგზის კვანძის მნიშვნელოვან ნაწილს — იწვოდა მოწინააღმდეგის სამხედრო ეშელონები და სამხედრო საწყობები. მეთვალთვალეებმა აღნიშნეს, რომ ბომბები პირდაპირ მოხვდა რეიდზე და ნავმისაბმელთან მდგომ გემებს. რეიდზე მდგომ ორ გემზე დიდი ძალის აფეთქებანი მოხდა.

ყველა ჩვენი თვითმფრინავი თავიანთ ბაზაში დაბრუნდა.

* * *

კიშინიოვის მიმართულებით ნ შენაერთის ნაწილები ბრძოლებს განაგრძობდნენ მდინარე დნესტრის მარჯვენა ნაპირზე პლაცდარმების გასაფართოებლად. ჩვენი მოძრავი ნაწილები მოწინააღმდეგის ზურგში შეიჭრნენ და უეცრად დაარტყეს გერმანელთა ჯარების ჯგუფს, საბჭოთა ტანკისტებმა ეცხლითა და მუხლუხებით გაელიტეს ერთ ბატალიონამდე ჰიტლერელი, მოსპეს რამდენიმე ჯავშან-ტრანსპორტიორი და 100 საზიდარი სხვადასხვა ტვირთიანად. წარმატებით ჩატარებული ოპერაციის შედეგად საბჭოთა ნაწილებმა ხელსაყრელი პოზიციები დაიკავეს.

* * *

სევასტოპოლის მიმართულებით ჩვენი ჯარები შეტევას განაგრძობდნენ. გერმანელებმა გამოიყენეს თავდაცვისათვის ხელსაყრელი ბუნებრივი პირობები და ძლიერ გამაგრებული პოზიციები გაიქეთეს მდინარე ბელბეკის ზეგანზე, მდინარე ჩორნაიას აღმოსავლეთით და ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარე მაღლობებზე. მტერი ეყრდნობოდა ამ ძლავრ თავდაცვითს ზოლს და ძლიერ წინააღმდეგობას გვიწევდა ჩვენი ჯარები, არტილერიის ცეცხლის საფარქვეშ, წინ მიიწევდნენ და რამდენიმე დასახლებული პუნქტიდან განდევნეს ჰიტლერელები. ბრძოლის მსვლელობაში მოწინააღმდეგეს დიდი ზარალი მოუვიდა. მარტო ერთ უბანზე მოსპობილია 1.000-ზე მეტი ჰიტლერელი. სხვა რაიონში საბჭოთა მოიერიშე რაზმებმა დაიკავეს მაღლობი, რომელიც არემარეს დასაქერის და ამასთან ხელთ იგდეს მოწინააღმდეგის 7 საარტილერიო ბატარია.

ჩვენი ჯარები ბრძოლებით მიიწევდნენ წინ ყირიმის სამხრეთ სანაპიროს გასწვრივ და მთელი რიგი დასახლებული პუნქტები დაიკავეს. დაკავებულია სოფელ ბაიდარი, საიდანაც გზა იხსნება ბალაკლავისა და სევასტოპოლისაკენ სამხრეთ - აღმოსავლეთიდან. გერმანელები, რომელთაც ჩვენი ჯარები სდევნიან, გზებზე სტოვებენ დიდძალ საჯარეველს და სამხედრო მასალას. ნ ნაწილის მებრძოლებმა ერთი დღის განმავლობაში ხელთ იგდეს 39 ქვემეხი, 108 ტყვიამფრქვევი, 23 ნაღმსატყორცნი, 87 ავტომანქანა და სამხედრო მასალის დიდი ალალი.

ჩვენი ავიაცია აქტიურად ეხმარება სახმელეთო ჯარებს, საბჭოთა მფრინავები განუწყვეტლივ ურტყამდნენ მოწინააღმდეგის საბრძოლო წყებებს. საჰაერო ბრძოლებში და ჰერსონესის კონცხის აეროდრომზე ჩვენმა მფრინავებმა გერმანელთა 10 თვითმფრინავი მოსპეს.

* * *

შავი ზღვის ფლოტის საჰაერო დაზვერვამ ღილით ზღვაში აღმოაჩინა მოწინააღმდეგის ტრანსპორტის ქარავანი, სამი სწრაფმავალი სადესანტო კარჭაპისა და ორი საგუშაგო კატერის შემადგენლობით, რომელიც სევასტოპოლს მიდიოდა. ფლოტის ავიაციამ იერიში მიიტანა და დაბომბა მტრის გემები და ჩასძირა 3 ათას ტონა წყალწყვის ტრანსპორტი და ერთი სწრაფმავალი სადესანტო კარჭაპი. დაზიანებულია მოწინააღმდეგის სხვა გემები, რომლებიც ამ ქარავანში იყვნენ.

* * *

უკრაინის 1-ლ ფრონტზე მფრინავებმა გენერალ-მაიორ კრასოვსკის მეთაურობით ორი დღის საჰაერო ბრძოლებში ჩამოაგდეს მოწინააღმდეგის 30 თვითმფრინავი.

* * *

პოლესიის ოლქში მოქმედმა ბელორუსთა რამდენიმე პარტიზანულმა რაზმმა მარტის მეორე ნახევარში ლიანდაგიდან გადააგდო გერმანელთა 12 სამხედრო ეშელონი. გზატკეცილებსა და ყამირგზებზე საბჭოთა პატრიოტებმა 1 ტანკი, 15 ავტომანქანა და 6 საზიდარი სომარ მასალიანად. ნაპეზის სახელობის ვილეიკის პარტიზანული რაზმი თავს დაესხა გერმანელ პოლიციელებს, რომელნიც ძალად მიერეკებოდნენ მშვიდობიან საბჭოთა მოსახლეობას. პარტიზანებმა მოსპეს 40 ჰიტლერელი და გაათავისუფლეს საბჭოთა მოქალაქეები, რომელთაც გერმანელები გერმანულ კატორღაში მიერეკებოდნენ.

* * *

გერმანელი ფაშისტი დამპყრობლები და მათი რუმინელი დამქაშები ყოველნაირად აწამებენ რუმინეთის ფრონტისპირა რაიონების მოსახლეობას სულელური ჭორით წითელი არმიის შესახებ. ამ ცრუ ფაშისტური პროპაგანდის გავლენით რუმინეთის ქალაქებისა და სოფლების ზოგიერთი მცხოვრები ტყეებში დაიმალა, მაგრამ წითელი არმიის მებრძოლებთან პირველი შეხვედრისთანავე რუმინელი მოსახლეობა რწმუნდება, რომ ჰიტლერელმა პროვოკატორებმა უნამუსოდ მოატყუეს ისინი. ერთი-ორი დღის შემდეგ ლტოლვილები შინ ბრუნდებიან და ცხოვრება ნორმალურ კალაპოტში დგება.

როცა მეწინავე საბჭოთა ნაწილები ქალაქ სტეფანეშტში შევიდნენ, მისი ქუჩები დაცარიელებული იყო, ხოლო დუქნებისა და მაღაზიების კარები და ვიტრინები დაკეტილი ან აფიცრული იყო. მხოლოდ ორი საათის შემდეგ ქალაქში გამოჩნდა ბერიკაცი და დედაბერი, რომელთაც ხელები მაღლა ჰქონდათ აშვერილი. მათ გაიარეს მთავარ ქუჩაზე, შიშით იყურებოდნენ აქეთ-იქით, ხოლო როცა დაინახეს, რომ მათ ხმას არავინ სცემდა, ისევ წავიდნენ. რამდენიმე ხნის შემდეგ ტყიდან, სახლებიდან და სამალავებიდან ბევრი ხალხი გამოვიდა. საბჭოთა შებრძოლებთან შეხვედრისას მცხოვრებლები პირველ ხანს ქუჩის მეორე მხარეს გადადიოდნენ და ხელებს მაღლა იშვერდნენ, თან ხელში ეთერი ცხვირსახოცები ეჭირათ. რუმინელები სავსებით დამშვიდნენ, როცა დარწმუნდნენ, რომ არავითარი საფრთხე არ მოელოდათ. ახლა ქალაქში ნორმალური ცხოვრება იწყება, გააღეს დუქნები, მაღაზიები, სახელოსნოები. ნაპეზი ერთ-ერთ ადგილია, ოდიდესი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის მუშაობა.

პლენუმს საჭიროდ მიაჩნია ბოლო ჟოეოს კომკავშირული ორგანიზაციების უყურადღებო დამოკიდებულებას სკოლის მუშაობისადმი და მთელმა კომკავშირმა „გადაჭრით იბრძოლოს პირი სკოლაზე ყოველდღიური მზრუნველობისაკენ. კომკავშირი აქტიურად უნდა ეხმარებოდეს სახალხო განათლების ორგანოებს, სკოლების დირექტორებს, მასწავლებლებს ბავშვთა სწავლებასა და აღზრდაში.

პლენუმი ავალებს კომკავშირის საოლქო კომიტეტებს, სამხარეო კომიტეტებსა და მოკავშირე რესპუბლიკების ცენტრალურ კომიტეტებს ყოველდღიურად და ოპერატიულად უხელმძღვანელონ სკოლის კომკავშირული და პიონერული ორგანიზაციების მუშაობას. აუცილებელია, რათა არა მარტო მდივნებმა სკოლის დარგში, არამედ კომკავშირის საოლქო კომიტეტების, სამხარეო კომიტეტებისა და მოკავშირე რესპუბლიკათა ცენტრალური კომიტეტების პირველმა მდივნებმაც უშუალოდ მოკიდონ ხელი სკოლის ახალგაზრდობასთან მუშაობას, დაეხმარონ ადგილზე სასკოლო კომკავშირული და პიონერული ორგანიზაციების საქმიანობის გაუმჯობესებაში.

2. მხედველობაში იღებს რა, რომ სკოლა და სახალხო განათლების ორგანოები მთლიანად პასუხისმგებელნი არიან სახელმწიფოს წინაშე ახალი თაობის სწავლებისა და აღზრდისათვის და ამაში მთ ეკუთვნით მთავარი როლი, საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის პლენუმს მიაჩნია, რომ სასკოლო კომკავშირული და პიონერული ორგანიზაციების მუშაობა წარმოადგენს მთელი იმ აღმზრდელობითი მუშაობის განუყოფელ ნაწილს, რასაც სკოლაში ატარებენ დირექტორები და მასწავლებლები.

პლენუმი სთვლის, რომ სასკოლო კომკავშირული ორგანიზაციების მთავარ ამოცანას წარმოადგენს მასწავლებლისადმი დახმარება მის სასწავლო-აღმზრდელობითს მუშაობაში, მოსწავლეების შეგნებულ, დისციპლინიან, ყოველმხრივ განვითარებულ მოქალაქეებად აღზრდაში, რომლებიც მზად იქნებიან ყოველგვარ სიძნელესა და განსაცდელს გაუმკლავდნენ, შეასრულონ სამშობლოსათვის აუცილებელი ყოველგვარი სამუშაო.

სასკოლო კომკავშირული ორგანიზაციები ფართო ინიციატივას უნდა იჩენდნენ სკოლის დირექტორის, მასწავლებელთა წინაშე იმ საკითხების დაყენებაში, რაც დაკავშირებულია არა სასწავლო დროს მოსწავლეებთან მასობრივი, პოლიტიკური და კულტურული მუშაობის ორგანიზაციასა და ჩატარებასთან.

პლენუმს საჭიროდ მიაჩნია დაწესდეს:

ა) რომ მასწავლებლებს დამოუკიდებლად იმისა, არიან თუ არა ისინი კომკავშირში, შეეძლოთ მოსწავლეთა ყველა კომკავშირულ კრებას დაესწრონ და მონაწილეობა მიიღონ მათ მუშაობაში;

ბ) რომ კომკავშირში მოსწავლის მიღების შესახებ განცხადების განხილვისას აუცილებელია მხედველობაში იქნას მიღებული ამ მოსწავლის შესახებ მასწავლებლის ან კლასის ხელმძღვანელის აზრი;

გ) რომ სკოლის დირექტორს უფლება აქვს შეაჩეროს სასკოლო კომკავშირული ორგანიზაციის არასწორი გადაწყვეტილების შესრულება და ალკკ რაიკომის წინაშე დააყენოს საკითხი ამ გადაწყვეტილების გაუქმების შესახებ.

3. მოწაფეთა სწავლების ხარისხის შემდგომი გაუმჯობესება ბევრად არის დამოკიდებული სკოლაში დისციპლინის განმტკიცებასა და უმკაცრესი წესრიგის დამყარებაზე. ამ მხრივ გადამწყვეტი როლი მასწავლებელს ეკუთვნის, მხოლოდ ამის არგებებით შეიძლება იმის ახსნა, რომ ზოგიერთი კომკავშირული ორგანიზაცია უშვებს მასწავლებელთა გაკრიტიკებას კრებებზე, სასწავლო დროს აცდენს მოსწავლეებს სხვა და სხვა სახოგადოებრივ დავალებათა შესრულებისათვის, არ ეხმარება სკოლის ხელმძღვანელებსა და მასწავლებლებს დისციპლინის განმტკიცებასა და სკოლაში წესრიგის დამყარებაში.

ჰიმოს რა მსგავს მავნე პრაქტიკას, პლენუმს საჭიროდ მიაჩნია:

ა) დაევალოს კომკავშირულ ორგანიზაციებს სრული მხარდაჭერა აღმოუჩინონ სკოლების დირექტორებსა და მასწავლებლებს სკოლაში დისციპლინის განმტკიცებასა და წესრიგის დამყარებაში;

ბ) აეკრძალოს სასკოლო კომკავშირულ ორგანიზაციებს და მოსწავლე კომკავშირელებს მოსწავლეებლთ მუშაობაში ჩარევა და მათი გაკიცხვა კომკავშირულ კრებებზე, მოსწავლეთა კრებებზე და კედლის გაზეთებში;

გ) აეკრძალოს კომკავშირულ ორგანიზაციებს გააცდინონ გაკვეთილების დროს მოსწავლეები საზოგადოებრივი მუშაობისათვის;

დ) აეკრძალოს კომკავშირის რაიკომებს, ქალაქკომებს, ოლქკომებს, სამხარეო კომიტეტებსა და მოკავშირე რესპუბლიკათა ცენტრალურ კომიტეტებს დამოუკიდებლად, სახალხო განათლების განყოფილებათა გარეშე ჩაატარონ სკოლის სასწავლო-პედაგოგიური მუშაობის გამოკვლევა.

4. საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის პლენუმს სასკოლო კომკავშირული ორგანიზაციების უმნიშვნელოვანეს მოვალეობად მიაჩნია კომკავშირელთა და პიონერთა მოწინავე როლის უზრუნველყოფა სწავლაში, დისციპლინაში, „მოსწავლეთა წესების“ ზუსტად დაცვაში.

პლენუმი მოითხოვს თვითეული მოსწავლე კომკავშირელისაგან სწავლისადმი შეგნებულ, კეთილსინდისიერ დამოკიდებულებას, მაღალ დისციპლინასა და ორგანიზებულობას. კომკავშირელი ვალდებულია მაგალითი იქნეს ყველა მოსწავლისათვის, ზუსტად და აკურატულად შეასრულოს მასწავლებლის დავალებანი, მისი ხელმძღვანელობით გაიფართოვოს ცოდნის არე, იკითხოს მეტი, შეისწავლოს სამხედრო საქმე, აქტიური მონაწილეობა მიიღოს სამეცნიერო-ტექნიკურ, ლიტერატურულ და სხვა წრეების მუშაობაში.

5. პლენუმი მოითხოვს კომკავშირული ორგანიზაციებისაგან გადაჭრით გაუმჯობესონ ხელმძღვანელობა პიონერულ ორგანიზაციებზე, სკოლების დირექტორებისა და მასწავლებელთა დახმარებით გახადონ თავიანთი მუშაობა შინაარსიანი, საინტერესო, აწარმოონ ეს მუშაობა მოსწავლეთა ასაკისა და სქესის გათვალისწინებით.

დაწესდეს, რომ უფროსი პიონერხელმძღვანელი ანგარიშმგებელია და ემორჩილება ალკკ რაიკომთან ერთად, აგრეთვე სკოლის დირექტორსაც.

6. პიონერულ ჯგუფებს უფლება მიეცეთ თავიანთი შეკრებებზე რეკომენდაცია მისცენ საუკეთესო პიონერებს, რომელთაც 14 წლის ასაკს მიაღწიეს, კომკავშირის რიგებში შესასვლელად. დაწესდეს, რომ ჯგუფის რეკომენდაცია უთანაბრდება ალკკ ერთი წევრის რეკომენდაციას.

7. აძლევს რა დიდ მნიშვნელობას პიონერხელმძღვანელთა აღმზრდელობითს მუშაობას უმცროსი და საშუალო ასაკის მოსწავლეებთან, როგორ ბავშვი ითვისებს ყოფაქცევის, დისციპლინის, სწავლისა და მუშაობის უნარის პირველდაწყებითს ჩვევებს, პლენუმი მოითხოვს კომკავშირული ორგანიზაციებისაგან განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ პიონერხელმძღვანელთა მუშაობაზე ხელმძღვანელობას, აღმოუჩინონ მათ ყოველდღიური დახმარება, დაეხმარონ მათ პედაგოგიური ცოდნის ამაღლებაში.

პიონერხელმძღვანელთა კადრების განმტკიცების მიზნით, პლენუმს საჭიროდ მიაჩნია:

ა) დაწესდეს, რომ უფროს ხელმძღვანელებს ამტკიცებს კომკავშირის საოლქო კომიტეტის ბიურო;

ბ) უფროს პიონერხელმძღვანელთა კადრების მომზადებისა და გადამზადებისათვის აღდგენილ იქნას რესპუბლიკური და საოლქო-თაშორისო სკოლები, ქალაქებში ეს შეექმნას მუდმივი სკოლები სამუშაოდან მოუწყვეტლივ სწავლისათვის.

8. აძლევს რა დიდ მნიშვნელობას მოსწავლეებში კითხვის სიყვარულის აღზრდას, პლენუმი ავალებს კომკავშირულ ორგანიზაციებს აქტიურად დაეხმარონ სკოლას წიგნზე მუშაობის გაუმჯობესებაში.

დაევალოს ალკკ საოლქო კომიტეტებს, სამხარეო კომიტეტებსა და მოკავშირე რესპუბლიკათა ცენტრალურ კომიტეტებს სახალხო განათლების ორგანოებთან ერთად მკაცრი კონტროლი დაუწესონ იმაზე, რათა სკოლებისათვის გათვალისწინებული მთელი ლიტერატურა დანიშნულებისამებრ მიდიოდეს.

დაწესდეს, რომ იმ წიგნების ტირაჟის არანაკლებ 30 პროცენტისა, რასაც „მოლოდაია გვარდია“ უშვებს, უნდა იგზავნებოდეს სასკოლო ბიბლიოთეკებში.

9. პლენუმს საჭიროდ მიაჩნია უფრო ფართოდ გაიშალოს მუშაობა მოსწავლეებში შრომითი ჩვევების დასანერგად და ავალებს კომკავშირულ ორგანიზაციებს დაეხმარონ სკოლების ხელმძღვანელებს:

ა) სკოლებსა და სკოლისგარეშე დაწესებულებებში საავეჯოო, საზეინლო, სამკინძაო, სამკერვალო და სხვა სახელოსნოების შექმნაში.

ბ) დროულად მოემზადონ და ორგანიზებულად, მასწავლებელთა ხელმძღვანელობით მოაწყონ მოსწავლეთა რაზმებად გასვლა სოფელ-სამეურნეო სამუშაოებზე;

გ) მომავალშიც ფართოდ იქნას გამოყენებული პრაქტიკაში საჭმით გამართლებული კვირაობანი ფრონტელთა ოჯახების დასახმარებლად, მუშაობა სათბობით სკოლების უზრუნველსაყოფად, სასკოლო შენობების დასალაგებლად და ა. შ.

10. საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი ავალებს კომკავშირულ ორგანიზაციებს აქტიურად დაეხმარონ სკოლების დირექტორებს და სამხედრო ხელმძღვანელებს მოსწავლეთა სამხედრო-ფიზიკური აღზრდის საქმეში. კომკავშირელი მოსწავლეები ყველაზე უფრო აქტიური მონაწილენი უნდა იყვნენ საზოგადოება „სმენას“ სპორტული კოლექტივების მუშაობაში, სპორტული ოსტატობის პირად მაგალითს უნდა უჩვენებდნენ. სასკოლო კომკავშირული ორგანიზაციები დირექტორისა და მასწავლებლის დასტურით უფრო ხშირად უნდა ატარებდნენ მასობრივ-სპორტულ შეჯიბრებებს, ლაშქრობებს, სამხედრო თამაშს, ექსკურსიებს და ა. შ. სასკოლო კომკავშირულმა ორგანიზაციებმა უნდა მიაღწიონ იმას, რომ თვითეულმა კომკავშირელმა მოსწავლემ ჩაბარეს ნორმები ნიშანზე „მზად იყავ შრომისა და თავდაცვისათვის“.

მოსწავლეთა ფიზიკური მომზადების შემდგომი გაძლიერების მიზნით დაევალოს კომკავშირის საოლქო კომიტეტებს, სამხარეო კომიტეტებსა და მოკავშირე რესპუბლიკათა ცენტრალურ კომიტეტებს მოამზადონ 8-9 კლასების მოსწავლეთაგან 1944 წლის ზაფხულში საბანაკო შეკრებებზე 20 ათასი საზოგადოებრივი ინსტრუქტორი, ვოაწყონ 1944 წელს ყოველ საშუალო სკოლაში სამხედრო კაბინეტები და სპორტული მოედნები, კომკავშირელთა და ახალგაზრდობის ძალებით 1944-1945 წლებში საოლქო ცენტრებში ააგონ სპორტული სტადიონები.

კომკავშირის საოლქო კომიტეტებმა, სამხარეო კომიტეტებმა და მოკავშირე რესპუბლიკათა ცენტრალურმა კომიტეტებმა სახალხო განათლების ორგანოებთან ერთად ყოველწლიურად უნდა ჩაატარონ მოსწავლეთა საშემოდგომო, საზამთრო, საგაზაფხულო და საზაფხულო მასობრივი სამხედრო-სპორტული შეჯიბრებანი. ამ შეჯიბრებებში გამარჯვებულთათვის დაწესდეს საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის, კომკავშირის საოლქო კომიტეტების, სამხარეო კომიტეტებისა და მოკავშირე რესპუბლიკათა ცენტრალური კომიტეტების პრიზები.

11. დაევალოს ალკკ საოლქო კომიტეტებს, სამხარეო კომიტეტებსა და მოკავშირე რესპუბლიკათა ცენტრალურ კომიტეტებს აღმოუჩინონ დახმარება სახალხო განათლების ორგანოებს ახალგაზრდა მასწავლებლების იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლებაში, მათთვის სისტემატიური [illegible] შაში საკავშირო კ. პ. (ბ) [illegible] ბირის ისტორიის, [illegible] პედაგოგიკის, [illegible] ტექნიკისა და ა. შ. საკითხებზე.

დაევალოს კომკავშირულ ორგანიზაციებს მიაღწიონ თვითეული სკოლის უზრუნველყოფას ცენტრალური და საოლქო გაზეთებით.

დაევალოს რაიკომებსა და ქალაქკომებს სერიოზულად გაუმჯობესონ ხელმძღვანელობა მასწავლებელთა კომკავშირული ორგანიზაციების მუშაობაზე, უფრო ხშირად გაუწიონ ინსტრუქტაჟი ამ ორგანიზაციების მდივნებს და დაეხმარონ მათ მუშაობაში.

12. კომკავშირის საოლქო კომიტეტების, სამხარეო კომიტეტებისა და მოკავშირე რესპუბლიკათა ცენტრალური კომიტეტების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანად პლენუმს მიაჩნია სახალხო განათლების ორგანოებისათვის დახმარების გაწევა პედაგოგიური კადრების მომზადებაში, პედაგოგიურ სასწავლებლებში და მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლების კურსებზე მდგომარეობის გაუჯობესებაში.

დაევალოს ალკკ საოლქო კომიტეტებს, სამხარეო კომიტეტებსა და „მოკავშირე რესპუბლიკათა ცენტრალურ კომიტეტებს:

ა) უზრუნველყონ თვითეული პედაგოგიური სასწავლებლის კომკავშირულ ორგანიზაციაზე ყოველდღიური ხელმძღვანელობა, ამასთან მიზნად დაისახონ—დაეხმარონ უმაღლესი პედაგოგიური სასწავლებლების, სამასწავლებლო ინსტიტუტებისა და პედაგოგიური სასწავლებლების ხელმძღვანელებს სტუდენტთა აკადემიური წარმატების ამაღლებაში, დისციპლინის განმტკიცებაში, მასობრივ-პოლიტიკური და კულტურული მუშაობის გაშლაში, სტუდენტთა მატერიალურ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებაში;

ბ) უაღრესად აქტიური მონაწილეობა მიიღონ პედაგოგიური სასწავლებლებისა და მასწავლებელთა მოსამზადებელი მოკლევადიანი კურსების დაკომპლექტებაში ამ ახალგაზრდების ხარჯზე, რომელთაც აქვთ სათანადო ზოგადი განათლება;

გ) დაეხმარონ მოკლევადიანი კურსებისათვის შენობების მომზადებაში და მსმენელთათვის აუცილებელი მატერიალურ-საყოფაცხოვრებო პირობების შექმნაში.

პლენუმი ავალებს კომკავშირელ მასწავლებლებს და განთავისუფლებულ უფროს პიონერხელმძღვანელებს, რომელთაც სათანადო პედაგოგიური განათლება არა აქვთ, დაამთავრონ დაუსწრებელი და საღამოს სასწავლებლები იმ ვადებში, რაც დაწესებულია სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1943 წლის 18 დეკემბრის დადგენილებით.

13. დაევალოს კომკავშირის საოლქო კომიტეტებს, სამხარეო კომიტეტებსა და მოკავშირე რესპუბლიკათა ცენტრალურ კომიტეტებს ყოველმხრივი დახმარება აღმოუჩინონ ადგილობრივ საბჭოთა ორგანოებს სკოლების მომზადებაში ახალ 1944-1945 სასწავლო წლისათვის, ამასთან განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ შვიდი წლის ასაკის ბავშვთა საკალდებულო სწავლების განხორციელებას, აგრეთვე სკოლების მშენებლობასა და რემონტის ჩატარებაში, აუცილებელი ინვენტარით, მოწყობილობით, სათბობით სკოლების უზრუნველყოფაში, სასკოლო მიწის ნაკვეთების დამუშავებაში დახმარების აღმოჩენას.

კომკავშირული ორგანიზაციები ვალდებულნი არიან დახმარება აღმოუჩინონ სახალხო განათლების ორგანოებს მასწავლებელთა მატერიალურ-საყოფაცხოვრებო უზრუნველყოფის შესახებ დადგენილი კანონების შესრულებაზე კონტროლის გაწევაში.

14. საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი იწონებს კომკავშირული ორგანიზაციების მუშაობას ფრონტელთა შვილებისათვის, საბავშვო დაწესებულებებისათვის დახმარების გაწევის ხმრივ, მუშაობას, რომელიც ხელს უწყობს ბავშვთა საყოველთაო სწავლების კანონის განხორციელებას, და ავალებს ალკკ საოლქო კომიტეტებს, სამხარეო კომიტეტებსა და მოკავშირე რესპუბლიკათა ცენტრალურ კომიტეტებს კიდევ უფრო აქტიურად გაშალონ ეს ზნიშვნელოვანი მუშაობა.

15. იწონებს რა გერმანელ დამპყრობთაგან განთავისუფლებული რაიონებისადმი კომკავშირული ორგანიზაციების დახმარებას, საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის პლენუმს საჭიროდ მიაჩნია, რათა კომკავშირის საოლქო კომიტეტებმა, სამხარეო კომიტეტებმა და მოკავშირე რესპუბლიკათა ცენტრალურმა კომიტეტებმა ყოველნაირად განავითარონ ეს პატრიოტული მოძრაობა.

პლენუმს საჭიროდ მიაჩნია:

ა) იმ ოლქების, მხარეებისა და რესპუბლიკების კომკავშირულმა ორგანიზაციებმა, რომელთაც შეფობა აქვთ აღებული განთავისუფლებულ რაიონებზე, უზრუნველყონ შემდგომი აქტიური დახმარება სკოლებისა და სკოლის გარეშე დაწესებულებათა აღადგენ, სარემონტო და მოსაწყობ მუშაობაში;

ბ) გერმანელ დამპყრობთაგან განთავისუფლებულ რაიონებში უფროსის კლასების მოსწავლენი ჩაბან სკოლების აღდგენასა და მოწყობაში;

გ) შეაგროვონ მხატვრული ლიტერატურა და სახელმძღვანელობები განთავისუფლებული რაიონების ბიბლიოთეკათა წიგნების ფონდის შესავსებად.

16. აღინიშნოს სკოლაში კომკავშირის მუშაობის საკითხების უაღრესად სუსტი გაშუქება საბავშვო და საყმაწვილო პრესაში და დაევალოს საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის ბიუროს გადაჭრით გაუჯობესოს გაზეთი „პიონერსკაია პრავდას“ და უფრესალების „ვოიატის“, „პიონერის“, „კოსტიორის“, „დრუჟნეე რებიატას“, „მურზილკის“ შინაარსი, აგრეთვე შეუდგეს წიგნების გამოცემას სკოლაში კომკავშირული და პიონერული ორგანიზაციების მუშაობის საკითხებზე.

სკოლაში კომკავშირის მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ

საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის XII პლენუმის დადგენილება

დიდმა სამამულო ომმა გვიჩვენა, რომ საბჭოთა სკოლამ, ბოლშევიკური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელობით, აღზარდა და გამოაწრთო თაობა შეგნებული, კულტურული, მამაცი ადამიანებისა, რომლებიც გმირულად იბრძვიან ფრონტზე გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ და თავდადებულად მუშაობენ ჩვენს საწარმოებში, დაწესებულებებში, სოფლის მეურნეობაში.

ბოლშევიკური პარტია და საბჭოთა მთავრობა შეუნელებელ მზრუნველობას იჩენენ სკოლის მიმართ. ომიანობის დროის ძნელ პირობებში საბჭოთა სკოლა კვლავ განუხრელად ვითარდება და აუმჯობესებს სასწავლო-აღმზრდელობითს მუშაობას. შემოღებულია ქალ-ვაჟთა ცალ-ცალკე სწავლება, სავალდებულო სამხედრო სწავლება, დაწესებულია ბავშვების მიღება სკოლაში 7 წლის ასაკიდან, შემოღებულია მოსწავლეთა წარმატებისა და ყოფაქცევის შეფასების ხუთბალიანი სისტემა. მნიშვნელოვნად გაიზარდა ასიგნებანი სახალხო განათლებისათვის, თითქმის ერთიორად გაიზარდა ასიგნებანი მასწავლებელთა კადრების მოსამზადებლად, გაიზარდა მასწავლებელთა ხელფასი. აქტიურად სწარმოება გერმანელ დამპყრობთაგან განთავისუფლებულ რაიონებში სასკოლო ქსელის აღდგენა.

ბოლშევიკური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ყველა ამ ღონისძიებას დიდი მნიშვნელობა აქვს სკოლის სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის ხარისხის ამაღლებისათვის, ამ ღონისძიებებს ეს მუშაობა უფრო მაღალ დონეზე აჰყავს.

მოწაფეთა სწავლებისა და აღზრდის შემდგომი გაუმჯობესების საქმეში დიდი მნიშვნელობა აქვს სკოლაში კომკავშირის მუშაობის გაუმჯობესებას. გადაუდებელ ამოცანას წარმოადგენს სერიოზულ ნაკლოვანებათა ლიკვიდაცია სასკოლო კომკავშირულ და პიონერულ ორგანიზაციათა მუშაობაში.

საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი ბევრი სასკოლო კომკავშირული ორგანიზაციის მუშაობაში ძირითად ნაკლოვანებად სთვლის იმას, რომ

ეროვნული ბიბლიოთეკა



კლუხორის რაიონის მოწინავე ადამიანები: სოფ. ზემო-ახალსოფლის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ამხ. დ. ქარუხნიშვილი, იმავე კოლმეურნეობის მოწინავე ადამიანები— დ. მარიამული, იასონ სოლაშვილი, გიორგი კახაძე, იოსებ მეშველიშვილი, ხვთისო ადუაშვილი, მაკარი კვარაცხელია, ვანო ხუნაშვილი.

ამგვები კლუხორის რაიონიდან

○ **„კლუხორის ნარზანი“.** კურორტ ტებერდის მახლობლად არის ნარზანის წყარო, რომლის საღეღამისო დებიტი რამდენიმე ათას ლიტრს უდრის. ამჟამად ამ წყაროსთან აწყობენ წყლის ჩამომსხმელ ქარხანას. „კლუხორის ნარზანი“ სარეალიზაციოდ გაიგზავნება თბილისსა და სხვა დიდ ქალაქებში.

○ **კლუხორული ასანთი.** კლუხორის რაიონში მოიპოვება საუკეთესო ხარისხის ასანთე ხე-ტყე. ახლა კლუხორში აწყობენ ასანთის ფაბრიკას, რომელიც გამოუშვებს ასანთს კოლოფებით. კოლოფებს ეწერება წარწერა—„კლუხორული ასანთი“.

○ **ჰიდროელექტროსადგურის რეკონსტრუქცია.** წელს გადაწყვეტილია დამთავრდეს კლუხორის ჰიდროელექტროსადგურის რეკონსტრუქცია. რეკონსტრუირებული სადგური ძალოვნება ორმაგად ეზრება ვაზრდილი. სადგური, გარდა ქალაქის მოსახლეობისა და საწარმოებისა, ენერგიას მიაწვდის ქვანახშირის მახლობელ სამადოებს.

○ **2 ტონა მშრალი კარტოფილი ყოველთვიურად.** ორ ტონა გამომშრალ კარტოფილს გამოუშვებს ყოველთვიურად ის ქარხანა, რომელიც ახლა აწყობენ კლუხორში კარტოფილის გადასამუშავებლად. გამომშრალი კარტოფილი სარეალიზაციოდ გაიგზავნება თბილისში და საქართველოს სხვა სამრეწველო რაიონებში.

○ **სალებავები ბარიტიდან.** უჩკულანის ხეობაში ცნობილია მალალხარისხოვანი ბარიტის საბადოები. ამ საბადოებთან ამჟამად აწყობენ მინერალური საღებავების გადამამუშავებელი ქარხნის მოწყობას. ქარხანა თავის პირველ პროდუქციას შემოდგომაზე გამოუშვებს.

○ **ახალი საწარმოები.** კლუხორის რაიონის სამრეწველო კომბინატი (კომბინატის მმართველი ამხ. შ. გვიჩია) შეუდგა მუშაობას ქალაქ კლუხორში მთელი რიგი ახალი საწარმოების მოსაწყობად. უკვე ამუშავებულია ტყავის ქარხანა, რომელიც შეუდგა სალანჩე და საზედაპირე ტყავების გამოშვებას. ნედლეულით ქარხანა საკმაოდ უზრუნველყოფილია.

ახლო ხანში ამუშავდება ლურსმნის გამომშვები საწარმო, რომელიც ლურსმნით უზრუნველყოფს იდგილობრივ მოთხოვნილებას.

კლუხორში მოწყობილია და მაისში მუშაობას შეუდგება ქერქის ტანსაცმლის სამკერვალო საწარმო. გარდა ამისა, იქვე მოაწყობენ ნაბდებს სახელოსნოს, ფეხსაცმლის საკერავ საამქროს და მთელ რიგ სხვა საწარმოებს.

უახლოეს ხანში დამთავრდება და ზაფხულიდან ხელახლა ამუშავდება ლუდის ქარხანა, რომელიც 1942 წლის შემოდგომაზე დაანგრიეს გერმანელმა დამპყრობლებმა.

⊙ ქალაქ კლუხორში ამჟამად საქართველოს სარეწაო კოოპერაციის სისტემაში შემავალი ორი არტელი მუშაობს — „წითელი შრომა“ და არტელი „პლოდოიაგოდნიკი“. წელს ეს არტელები საგრძნობლად აფართოებენ თავიანთ წარმოებას

არტელი „პლოდოიაგოდნიკი“ წელს გამოუშვებს მარწყვის პაციდლოს, ვიტამინიზებულ სიროფებს, ვიტამინიზებულ კონფეტს მარწყვისა, კოწახურისა და შინდისაგან. იგივე არტელი უკვე შეუდგა კარტოფილის ფქვილისა და სახამებლის გამოშვებას.

წელს კლუხორის ამ არტელებს დავალებული აქვთ ათვისონ ტყის ხილისაგან ვიტამინიზებული პროდუქტების გამოშვება. კლუხორის რაიონის ტყეებში დიდი რაოდენობით მოიპოვება — პანტა, ბალი, შინდი, გარეული მარწყვი, ძახელი და სხვა ხილი. გარეული ხილის დამზადებას არტელები საკუთარი ძალით აგვარებენ. სარეწაო კოოპერაციის არტელები წარმატებით ართმევენ თავს დაჟღენილ სამუშაოს.

გზა კლუხორისაკენ

საქართველოს სსრ მთის რაიონთაშორის კლუხორს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. ბუნებრივ სიმდიდრეთა რესურსები, დიდი შესაძლებლობანი მეცხოველეობისა და სოფლის მეურნეობის სხვა დარგთა განვითარების მხრივ კლუხორის რაიონს საქართველოს ეკონომიკაში გარკვეულ ხვედრითს წონას ანიჭებს. ამ რაიონში ჯერ კიდევ გამოუყენებელია მრავალი ასეული ჰექტარი შესანიშნავი მიწა, ტყე, საძოვარი.

ბერმანელმა ფაშისტმა დამპყრობლებმა კლუხორის რაიონში თავიანთი ხანმოკლე პარპაშის განმავლობაში დიდი ზიანი მიაყენეს ამ შესანიშნავ კუთხეს. კლუხორელი გოლშევიკები თავდადებით იბრძვიან აღდგენითს საომარ ეპოქაზე და ყველაფერს აკეთებენ, რათა ცვლავ შეაქმნან და განამტკიცონ კოლმეურნეობები. ჩაყენონ კლუხორი საქართველოს მოწინავე რაიონთა წყებაში.

ამ გვერდში ჩვენ ვათავსებთ „კომუნისტის“ სპეციალურ კორესპონდენტთა მასალებს კლუხორის რაიონის შესახებ.

◇ ◇

კანალიზაცია, კარგად მოწყობილი აბანო და საერთოდ ყველა ის კომუნალური ობიექტები, რაც საჭიროა ადამიანის კულტურულ-საყოფაცხოვრებო მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად.

გერმანელ დამპყრობთა ხანმოკლე თარეშმა კლუხორის საქალაქო მეურნეობას მრავალი ჭრილობა მიაყენა. კაციჭამია ჰიტლერელებმა აფეთქეს კლუხორის შვენება — რევოლუციისათვის მებრძოლთა მონუმენტური ძეგლი, დაანგრიეს ძეგლთან მისასვლელი ტერასები, ააფეთქეს კლუხორში მისასვლელი ორივე ხიდი, ჰიდროელექტროსადგური, მოშალეს კანალიზაცია, წყალსადენი. აბანო და სხვა ობიექტები. აქ გერმანელ დამპყრობთა პარპაშის შედეგად ქალაქმა დაჰკარგა სამრეწველო კომბინატის ვეებერთელა შენობა და სხვა ნაგებობანი.

სახელოვანმა წითელმა არმიამ დამპყრობლები განდევნა კლუხორიდან და საბჭოთა ადამიანებმა ახლებურად გააჩაღეს მუშაობა. აღადგინეს ხიდები, ელექტროსადგური, აამუშავეს წყალსადენი და საქალაქო მეურნეობის სხვა ობიექტები. კლუხორელ მშრომელთა ამ დიდ შემოქმედებითს მუშაობას ხელმძღვანელობენ რაიონის პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები, რომელთაც ყოველდღიურად ეხმარებიან საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო.

უკვე კარგა ხანია მუშაობს კლუხორის სამრეწველო კომბინატი, რომელიც აერთიანებს ;ვეჯის საწარმოს, ტყავის გადამამუშავებელ ქარხანას, მექანიკურ სახელოსნოს და პურსაცხობ ქარხანას. ახლებურად გააჩაღეს მუშაობა საქართველოს სარეწაო კოოპერაციის არტელებმა, რომლებიც ბაზარზე უშვებენ სახამებელს, კარტოფილის ფქვილს, ტაბილეულს, უალკოჰოლო სასმელებს და ფართო მოხმარების მრავალი სხვა სახელწოდების საქონელს. საქართველოს სარეწაო კოოპერაცია ამ არტელებს (არტელი „წითელი შრომა“ — თავმჯდომარე ამხ. საფაროვი, არტელი „პლოდოიაგოდნიკი“ — თავმჯდომარე ამხ. ტარიჩეი) ყოველმხრივ დახმარებას უწევს. არტელი „წითელი შრომა“ ამჟამად იწყებს ლურსმნის გამოშვებას, რაზედაც აქ მეტად დიდი მოთხოვნილებაა. არტელი „პლოდოიაგოდნიკი“ იწყებს ვიტამინიზებული ხილის პროდუქტების გამოშვებას. აქვე უნდა დაკმაყოფილოთ, რომ კლუხორის რაიონში სარეწაო კოოპერაციის მუშაობის გასაშლელად დიდი პერსპექტივა. ეს გარემოება მხედველობაში უნდა მიიღოს საქართველოს სარეწაო კოოპერაციის ხელმძღვანელობამ.

კვალდაკვალ

ქალაქის განაპირას, იქ, სადაც ტებერდა მდორედ დენას იწყებს და მის სარკესავით გამჭვირვალე სიღრმეში კალმახები ცელქობენ, აღმართულია ხავსმოკიდებული უზარმაზარი ალდე. კლდის ძირას მდინარის ნაპირამდე საკმაოდ მოზრდილი მინდორია. ამ მინდორზე უსოვარ დროს, უცნობი ტომის ადამიანებს ქალაქი გაუშენებიათ. ამ ნაქალაქარის ნაშთებმა დღემდე მოაღწიეს დაცულია შენობათა საფუძვლები, ადამიანთა სამარხები, აქა-იქ შეხვდებით ამის ნიშნებს, რომ აქ მაშინაც ეწეოდნენ ლითონის დამუშავებას. კლდეში მრავალი გაჭოქვაბულია არქეოლოგებმა დადასტურეს, რომ ამ გამოქვაბულს მაშინ იყენებდნენ, როგორც ციხე-სიმაგრეს.

მეორე ასეთი ნაქალაქარიც არის კლუხორის პირდაპირ მდინარე ყუბანს გაღმა.

ტებერდის ხეობის მიმართულებით, ქალაქის განაპირას განმარტოებით დგას თეთრი ერთსართულიანი შენობა. ამ შენობას კლუხორელები „სიკვდილის სახლს“ ეძახიან. 1942 წლის შავბნელ დღეებში, როდესაც კლუხორში ჰიტლერელთა ბანდა შემოიჭრა, მათ ამ სახლში შერეკეს ასობით უდანაშაულო საბჭოთა ადამიანები, უმთავრესად ქალები, ბავშვები და მოხუცები. არც სასმელს აძლევდნენ მათ, არც საჭმელს. წამებულთა კვნესა-გოდება შორს ისმოდა. „სიკვდილის სახლის“ მახლობლად არის ამოცემენტებული სარდაფი, რომელიც გაკეთებულია ყინულისა და ოფლის შესანახავად ზაფხულის თვეებში. ამ სარდაფში, რომელიც 20 კვადრატული მეტრი თუ იქნება, გერმანელებს ჩაუმწყვდევიათ 60-მდე პარტიული და არაპარტიული აქტივისტი. ცემენტის კედელზე ჩამოფხაჭნილია ხაზები. ჯერ გადაშლილია 11 ხაზი, შემდეგ ირაბულად გადაშლილია 10 ხაზი, შემდეგ ზეიდი. ხოლო დანარჩენი ხაზები ახლაც დატოვებულია. ეს ხაზები ჰიტლერელი სადისტების შეკრებილ ბორტების ტყვე მოწმენი არიან. დამპყრობლებს დაუხლეტიათ ჯერ 11 კაცი, შემდეგ 10, შემდეგ 7, ხოლო ბოლოს დახვრეტილ საბჭოთა პატრიოტებს კედელზე ღინიშნული ხაზები წაუშლელი დარჩენიათ. წამებით დაღუპულთა შორის ყოფილა გაზეთ „სტავროპოლსკაია პრავდის“ კორესპონდენტი ამხ. ზახაროვი. „მოკვდები, როგორც ბოლშევიკი, სიკვდილი გერმანელ ოკუპანტებს!“ — დაუტოვებია მას წარწერა კედელზე.

ქალაქის მახლობელი ტყით დაფარული გორაკები ჰიტლერელ ყაჩაღებს სასაფლაოებად გადაუქცევიათ. ამ გორაკებზე არის ორმოები, სადაც გერმანელები ჰყრიდნენ თავიანთ უდანაშაულო მსხვერპლთა გვამებს. ორმოების მახლობლად მუხებსა და რცხილებს ახლაც ანრეკვიათ გერმანულ ავტომატთა ტყვიების კვალი, როგორც ფაშისტ ყაჩაღთა მხეცობის უდავო ნიშნები.

მაგრამ არის კლუხორის რაიონში ისეთი ადგილებიც, რომელთა ნახვა საბჭოთა ადამიანს სწამაყოთ აღავსებს.

კლუხორის მახლობლად ერთი მინდორი ავსებულია ჰიტლერელთა ურდოების ტექნიკის ნამსხვრევებით. აქ, ამ მინდორზე ჩვენმა მამაცმა ჯარებმა მიიმწყვდიეს კლუხორის რაიონიდან გაქცეული ჰიტლერელი ოკუპანტები და ჩადენილი ბოროტებისათვის სამაგიერო აზღვევინეს. გერმანელი მტარვალები ოკუპაციის პერიოდშიც არ რჩებოდნენ დაუსჯელნი. პარტიზანის ტყვია ყოველ ხელსაყრელ მომენტში მარჯვედ ესობოდა ოკუპანტის ბინძურ სხეულს. პარტიზანების მიერ მოკლული გერმანელებისათვის ცალკე სასაფლაოკი ყოფილა.

თვალწარმტაც ხეობებში

ქალაქ კლუხორიდან სამხრეთის მიმართულებით კავკასიონის სიღრმისკენ ორი გზატკეცილი ვიდის. ერთი მათგანი დიდად ჰგავს ულარული და მხატვრული სიტყვის ოსტატთა მიერ მრავალჯერ აღწერილი ტებერდის გზატკეცილია. იგი შეტყუპებულად მიჰყვება ჩვენი არაგვივით ვიეოსა და არაგვიან მდინარე ტებერდას, რომელიც ხმაურითა და ალიაქოთით მოაპობს მთელ ხეობას. გალმა-შორის არის ერთი სურათიც: „ჩემს ოვალ დედიკოსაგან“, სურათზე უცნობ მებრძოლს წარწერა დაუტოვებია — „შორს ვიძიებთ შენი სისხლისთვის“.

გზატკეცილზე ახლა ავტომობილები წამდაუწუმ დაჭრიან. აირბენს თუ არა ავტოპატარა შეიმართს, მარცხნივ ქვემო-ახალსოფელი, ხოლო მარჯვნივ „ბავშვთა ქალაქი“ გამოჩნდება. „ბავშვთა ქალაქში“ თავმოყრილი არიან სამამულო ომის პერიოდში უპატროდ დარჩენილი ბავშვები. ამ ბავშვებისათვის აქ მოწყობილია სკოლა, სასადილო, საბავშვო კლუბი, სკოლამდელი ასაკის ბავშვთა სახლები, საერთო საცხოვრებლები, მასწავლებელთა საცხოვრებელი ბინები, საბავშვო ბაღი.

აქ თავმოყრილი ბავშვებისათვის მოწყობილია შესანიშნავი მეურნეობა, რომელსაც აქვს 30 ჰექტარზე მეტი სათესი ფართობი, ხილის ბაღი, მეძროხეობის ფერმა, ბოსტანი, საფუტკრე, რომელიც სეზონში 120-150 ფუთ თაფლს იძლევა, ცხვრის ფარა, ცხენები და მუშა საქონელი. ამჟამად აქ 250-მდე უპატრონოდ დარჩენილი ბავშვია. საბავშვო ქალაქის დირექტორად მუშაობს გამოჩენილი პედაგოგი ამხ. გ. გელაძე და მეურნეობის დირექტორად ამხ. ს. თვალჭრელიძე. ამ შესანიშნავ დაწესებულებაში გერმანელთა მხეცობის მსხვერპლად გამხდარმა საბჭოთა ბავშვებმა ჰპოვეს მშობლიური ალერსი და მზრუნველობა.

ქვემო-ახალსოფლიდან იწყება შელმართები. გზატკეცილი კლაკვნით მიჰყვება მდინარეს ხან გალმით და ხან გამოღმით. ოციოდე კილომეტრის შემდეგ გზატკეცილი გვერდით ჩაუვლის ზემო-ახალსოფელს და ფიქნარით დაფარულ ტყეში შეიმალება. აქედან იწყება კურორტი ტებერდა. კურორტს ზემოდან დაჰყურებს კავკასიონის მთავრეხილის ტექტონიკური ლაფსუსი—„ეშმაკის სასახლე“, და მუდმივი თოვლით დაფარული მთავარი ქედი. დაფენილ ფიქნარში სანატორიუმების, დასასვენებელი სახლების და სხვა საკურორტო შენობების არქიტექტურა გოროზი მთების პეიზაჟით დაღლილ თვალს ამშვიდებს. ახლა ეს კურორტი ისეთი ალარ არის, როგორც გერმანელი დამპყრობლების აქ შემოჭრამდე იყო, მაგრამ სულ მოკლე დროში იგი აღდგენილი და კიდევ უფრო გამშვენიერებული იქნება. ამის თავდებია ის დიდი დახმარება და ყურადღება, რომელსაც კურორტის დირექციას (დირექტორი ამხ. ს. ჩიკვინიძე) უწევენ პარტია და ხელისუფლება, ადგილობრივი რაიონული ხელმძღვანელი ორგანიზაციები და საქართველოს კურორტთა მთავარი სამმართველო. კურორტზე ამჟამად 7 მოქმედი სანატორიუმია.

ირმებისა და ჯიხვების სამეფო

კურორტ ტებერდის ირგვლივ მთები, ტყეები, ალპური მინდვრები, კლდეები და მუდმივი თოვლით დაფარული მწვერვალები სახელმწიფო ნაკრძალად არის გამოცხადებული. აქ დიდი სამეცნიერო-პრაქტიკული მუშაობა არის გაშლილი. ნაკრძალის ტერიტორიაზე, რაც 70 ათას ჰექტარამდე აღწევს, მოიპოვებიან კავკასიონის ფაუნის თითქმის ყველა წარმომადგენლები—ჯიხვები, გარეული თხები, შვლები, დათვები. აქ ხდება აგრეთვე იშვიათ ოცხო ნადირთა აკლიმატიზაცია და მომრავლება. ნაკრძალი ჩამოყალიბდა 1936 წელს.

ნაკრძალის ტერიტორიაზე ამჟამად იმყოფება 70 სული მორეულ-ალმოსავლური ჯრელი ირემი, 3.000 სულამდე ალტაის ციყვი, რომელიც იშვიათი ღირსების ძვირფას ქეჩურს იძლევა, შორეულ-ალმოსავლური ენოტისებრი ძაღლები, რომლებიც აგრეთვე ძვირფას ქეჩურს იძლევიან, და სხვა ცხოველები. გარდა ოცხო ნადირთა აკლიმატიზაციისა და მოშენებისა, ნაკრძალის ტერიტორიაზე ჯრავლად არიან კავკასიის ფაუნის წარმომადგენლებიც.

ნაკრძალის ტერიტორიაზე დიდი მუშაობა მიმდინარეობს სასარგებლო მცენარეთა მოშენება-აკლიმატიზაციისათვის. წარმატებით დამთავრდა, მაგალითად, ცდები ხაუერდის ხის, ბერძნული და მანჯურული კაკლის ხეების, კორპის ფუთის და ამერის თხილის ხის მოსაშენებლად. ეს მცენარეები შესანიშნავად შეეგუენ აქაურ ჰავას და საუცხოო ნაყოფს იძლევიან.

ამას გარდა, ნაკრძალის ტერიტორიაზე დაწყებულია ცდები ჭაჭოვანი მცენარეების გასაშენებლად. ამ მცენარეებიდან პირველად გასულ წელს მიიღეს მცენარეული თაფლი. მომავლისათვის გადაწყვეტილია შაქროვანი მცენარეების უფრო მასობრივად გაშენება და მცენარეული თაფლის გადასამუშავებელი საწარმოს მოწყობა.

დიდი მუშაობა სწარმოებს აქ აგრეთვე ვიტამინების შემცველი მცენარეების მოსაშენებლად. დაწყებულია მუშაობა ფიჭვის, ნაძვის და სხვა წიწვიან ჯიშთა მცენარეებისაგან ვიტამინების მისაღებად. ამ მხრივ ჩატარებულმა რამდენიმე ცდამ კარგი ნაყოფი გამოიღო.

ნაკრძალის ტერიტორიაზე აწარმოებენ აგრეთვე ცდებს კლუხორის რაიონის პირობებში სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების დანერგვისათვის. ცნობილია, რომ ამ მიდამოებში დღემდე არ ითესებოდა პური, ბარხალი, სტაფილო და სხვა საყანე და საბოსტნე კულტურები. ზღვის დონიდან 2.400 მეტრის სიმაღლეზე დათესილმა ამ კულტურებმა კარგად გაიხარეს. თვითეულ ჰექტარ ფართობზე აქ მიღებულ იქნა 43 ცენტნერი პური, 550 ცენტნერი კომბოსტო, 30 ცენტნერი საგაზაფხულო ქერი და 273 ცენტნერი სტაფილო. ამ გამოცდილების საფუძველზე წელს კლუხორის რაიონის მაღლობ ზონაში უკვე მასობრივად სთესენ პურეულს და საბოსტნე კულტურებს.

უჩკულანისკენ

მეორე გზატკეცილი ქალაქ კლუხორიდან უჩკულანამდე მიდის. უჩკულანთან იწყება მდინარე ყუბანი. აქ ერთმანეთს უერთდება ორი ღელე—ულუხურზუკი და უჩკულანი, და შემდეგ გაერთიანებულნი მდინარე ყუბანის სახელით ჩრდილოეთისკენ — სტავროპოლ-შჩინის დაფენილი ველებისკენ მიედინებიან.

კავკასიონის გოლიათის — იალუზის კალთები და ჭიღარა მთავრეხილის მწვერვალები ზევიდან დაჰყურებენ ხეობის სიღრმეში გაშენებულ მთის სოფლებს. გზატკეცილი აქაც მთებითა და უზარმაზარი კლდეებით შეეიწროებულ მდინარე ყუბანის კალაპოტს მიჰყვება. პირველყოფილი ბუნება, ულრანი ტყე და მიწის წიაღის სიმდიდრეები მეტად მიმზიდველს ჰხდიან უჩკულანის ხეობას, რომელსაც განვითარების ბრწყინვალე პერსპექტივა აქვს. ამხ. ა. იმნაძე, რომელიც პარტიამ კლუხორის რაიონში ხელმძღვანელ პარტიულ სამუშაოზე გაგზავნა, გატაცებით მოგვითხრობს უჩკულანის ხეობისა და საერთოდ კლუხორის რაიონის ახლო პერსპექტივაზე.

უჩკულანის ხეობის სოფლები მთის სანიმუშოდ კეთილმოწყობილი სოფლები იქნებიან. სოფლებში ეშენებათ ადგილობრივი ჰიდროელექტროსადგურები, სასოფლო კლუბები, კარტოფილის უხვი მოსავლის ბაზაზე აქ მოაწყობენ კარტოფილის ფქვილისა და სახამებლის წარმოებას, გაიყვანენ განიერ საავტომობილო გზებს იქ, სადაც ახლა მთიელთა ურემიც ვერ გადის. შეუდგებიან მიწის წიაღის სიმდიდრეთა დამუშავებას. კლუხორის რაიონში გაშენდება ახალი სოფლები, ჩამოაყალიბებენ ახალ კოლმეურნეობებს, კიდევ უფრო განავითარებენ ფესვჭონლეობას, მეფუტკრეობას, სოფლის მეურნეობის ყველა სხვა დარგს.

მოწინავე ადამიანები

კლუხორელებს მრავლად ჰყავთ მოწინავე ადამიანები. ისინი ჰჭნიან ახალ ცხოვრებას, ფრონტსა და სამშობლოს გამარჯვების უხვი მოსავალს უმზადებენ. ზემო-ახალსოფლის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ამხ. დ. ქარუხნიშვილი სამართლიანად ამაყობს საუკეთესო გუთნისდედებით, ხვნა-თესვის ოსტატებით, მოწინავე მწყემსებით, საქონლის მომვლელებით.

გიორგი გოგიჩაშვილმა, იაგორ ალთუნაშვილმა, როსტომ გასხვილმა და იოსებ ნარიმანიძემ მთელს რაიონში გაითქვეს სახელი. როგორც საუკეთესო მზვინელ-მთესველებმა. მათი ნახნავი, უზადოა—არცერთი ხარვეზი, არავითარი სიმეჩხერე არა აქვს.

იოსებ ლაფიაშვილის მეცხვარეობის ბრიგადას მთელს ზამთარში არცერთი ცხვარი არ დაჰკლებია, არცერთი ბატკანი არ დაჰოკვია. ასევე მოწინავენი არიან რაჟდენ ხუციშვილის და სიკო ძმანაშვილის მეცხვარეობის ბრიგადები. საუკეთესოდ მუშაობენ მწყემსები—პართენ ნატროშვილი, იოსებ ლამაზაშვილი, ვანო ხუნაშვილი, რომან ჯანგილაშვილი და ვარლამ კაპანაძე. მეთხეობის ბრიგადებიდან რაიონში პირველ ადგილზე არის იმავე ზემო-ახალსოფლის კოლმეურნეობის ბრიგადა, რომელსაც პეტრე აბულაძე ხელმძღვანელობს, კოლა ჩოხელი, გიორგი ფილიეკი, იასონ სოლაშვილი თხის ფარის საუკეთესო მწყემსებად ითვლებიან.

„გაზაფხულის ნაზი ბალახით აბიბინებულ მინდვრებზე უკვე გაიყვანეს მსხვილფეხა საქონლის ჯოგები. რჩაგადგარეხილი ძროხები მადიანად დასწაფიან მინდვრის ბარაქას. ხბოები, დიკუღლები და ნებიერები გარეკილი არიან ცალკე. საუკეთესო ჯოგები ჰყავთ მაკარი კვარაცხელიას და იოსებ მეშველიშვილს. ხვთისო ადუაშვილი, ილიკო გოგილავა, რაკდენ ქარდავა და ლადო ჯოლოხავა ეჯიბრებიან მუშასაქონლის მწყემსებსა და მომვლელებს — ივანე გოგოლაძეს, მოსე მოსიაშვილს და ქარუმა ქალიეფს.

ბევრი მოწინავე ადამიანი ჰყავს აგრეთვე სოფელ ახალშენის ბერიის სახელობის კოლმეურნეობას (თავმჯდომარე ამხ. პ. ქარსელაძე). ვერა ლობეანიძე და ვ. გავაშელი არაერთ ვაეკაკს არ ჩამორჩებიან სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების შესრულებაში.

კარგად ხელმძღვანელობენ მინდობილ საქმეს ამხ. შ. გვინია, ა. ჩირგაძე, ა. კუპრაძე, ს. ეფენტი, ა. ჩიმაკაძე, აკ. მშვენიერაძე, ვ. კრავჩენკო, ა. სოხაძე და ბევრი სხვანი..

კლუხორში გაზაფხულია. თვალწარმტაც ხეობებში ხალისიანი შრომის გუგუნი მოისმის. გამარჯვების უხვი მოსავლისათვის იბრძვიან კლუხორელები.

დ. ლომთაძე.

ზემო-ახალსოფლის კოლმეურნეობის ბრიგადირი ი. მეშველიშვილი (მარცხნიდ) და ფერმის გამგე ი. იობაშვილი ადგილობრივ ჯიშის საქონელთან. ფოტო რ. აკოფოვისა.

კურორტ ტებერდა, სანატორიუმი „პროლეტარი“. ბავშვთა დასვენების სახლი. ფოტო რ. აკოფოვისა.

დეკეფეზი

უცხოეთის პრესა და რადიო საბჭოთა ჯარების წარმატებების შესახებ ყირიმში

ლონდონი, 16 აპრილი (საკადესი). რეიტერის სააგენტოს სამხედრო მიმომხილველი გენერალი ჰოფი სწერს, რომ რუსთა შეტევის ტემპები იზრდება. წინავლის სისწრაფე ახალი დადასტურებაა გამბედაობისა და ენერგიისა, რომლებიც აღაფრთოვანებენ რუსეთის არმიაა, დაწყებული მისი უმაღლესი ხელმძღვანელებით და გათავებული ყველაზე უფრო ახალგაზრდა ეფრეიტორებით. სევასტოპოლზე თავიანთი შეტევისას რუსებმა გაანადგურეს და მოსპეს გერმანიის არმიის უაღრესად მნიშვნელოვანი ნაწილები ყირიმში. მტრის ჯარების ნაშთებს გადარჩენის მეტად მცირე იმედი აქვთ, მათი უკანდახევის ხაზებზე გაფფთრებით მიაქვთ იერიშები ჰაერიდან და ზღვიდან.

გერმანიის არმიის მოსპობა წარმოადგენს მთავარ შედეგს, რასაც რუსები მიიღებენ თავიანთი წარმატებით ყირიმში. ეს არა მარტო მნიშვნელოვან მორალურ, არამედ აგრეთვე მატერიალურ ეფექტსაც მოახდენს. ეს რეალური ზარალი—ჯარების მოსპობა—ჰიტლერს ისეთ მომენტში მოუვიდა, როცა მას ყოველ მხრიდან დიდი საფრთხე ემუქრება.

ნიუ-იორკი, 16 აპრილი (საკადესი). ამერიკის პრესა და რადიო ფართოდ ეხმაურებიან ყირიმში საბჭოთა ჯარების წარმატებებს. სან-ფრანცისკოს რადიოსადგურის პოლიტიკური მიმომხილველი იხსენებს, რომ გერმანიისა და რუმინეთის ჯარებმა, რომლებიც ყირიმში დარჩნენ, ჰიტლერისგან ბრძანება მიიღეს—გამკლავებოდნენ ან გამწყდარიყვნენ. მათ უნარი აღმოაჩნდათ შეესრულებინათ ამ ბრძანების მხოლოდ მეორე ნაწილი, მაგრამ ჰიტლერის ჯარისკაცებს ახლა გაცილებით ნაკლებ სწყურიათ სიკვდილი, ვიდრე წინათ. გუშინ მათგან 20 ათასი დანებდა ტყვედ.

„გერმანიისა და რუმინეთის გაქცეული ჯარები—აღნიშნავს შემდეგ რადიომიმომხილველი—ვერ ნახავენ მოსვენებას შავი ზღვის ნაპირებთან. ყირიმის უდიდესი ბაზა და ნავსადგური სევასტოპოლი მთლიანად გარშემორტყმულია. რისი გაკეთებაც ვერ შესძლეს ნაცისტებმა დიუნკერკთან, იმას ამჟამად საბჭოთა ჯარები ახორციელებენ ყირიმში. მაშინ როდესაც გერმანელებმა დიუნკერკში ხელი ვერ შეუშალეს ინგლისელებს გემებში ჩამსხდარიყვნენ და ინგლისს გამგზავრებულიყვნენ, რუსები ამჟამად საშუალებას არ აძლევენ გერმანელებს წავიდნენ სევასტოპოლიდან რუსებს იერიში მიაქვთ გერმანიის ნავსადგურების წინააღმდეგ. შავ ზღვაზე, რუმინეთის თვით უდიდესი ბაზის კონსტანცის წინააღმდეგაც, სადაც იმყოფება გემები, რომელთაც შეეძლოთ დახმარება აღმოეჩინათ გერმანელებისათვის ყირიმიდან ევაკუაციისას. ამჟამად ყირიმში ხდება ის, რისიც გერმანელებს ყველაზე მეტად ეშინოდათ,—უკანდახევა სწარმოება პრინციპის ძალიდან: „თვითეული თავის თავზე ფიქრობს“.

მღელვარება ფუკინში

ლონდონი, 16 აპრილი (საკადესი). ლონდონის რადიო გადმოგვცემს, რომ ტურინში სერიოზული მღელვარებაა. ქარხნების მნიშვნელოვანი ნაწილის მუშები გაფიცული არიან. გაფიცულებს მონაწილეთ მასობრივად აპატიჟრებენ. ჰიტლერელები დაპატიმრებულთ საკონცენტრაციო ბანაკებში ჰგზავნიან. ტურინის ქუჩებში გერმანელთა რაზმები პატრულობენ. 12 აპრილს ღამით ქალაქში მრავალი შეტაკება მოხდა პარტიზანებსა და გერმანელთა ჯარებს შორის.

დეზერტირობა გერმანული ნაწილებიდან

ბეტებორგი, 16 აპრილი (საკადესი). როგორც გაზეთი „გეტებორგსპოსტენი“ იუწყება, გახშირდა გერმანელი ჯარისკაცების დეზერტირობა სამხედრო მატარებლებიდან, რომლებიც დანიის რკინიგზებზე დადიან. ცნობილია ფაქტი, როცა ერთი გერმანელი ჯარისკაცი დახვრიტეს სადგურზე, გაქცევის ცდისათვის. ამის შემდეგ რეკოლვერმომარჯვებულმა ოფიცრებმა ჩამოუარეს ყველა ვაგონს და ჯარისკაცებს დაემუქრნენ, გავუსწორდებით ყველას, ვინც დეზერტირობას შეეცდებაო. ცნობილია შემთხვევები, როდესაც გერმანელი ჯარისკაცები დანიაში თავს იკლავდნენ, როცა შეიტყობდნენ, რომ მათ საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე გაგზავნა მოელოდათ.

ინრრას საბჭოსადმი იუგოსლავიის განთავისუფლების ნაციონალური კომიტეტის მიმართვის გამო

კაირო, 16 აპრილი (საკადესი). როგორც აქ ცნობილი გახდა, კაიროში ინრრას გენერალური დირექტორის ლიმენის ყოფნის დროს მას გადაეცა იუგოსლავიის განთავისუფლების ნაციონალური კომიტეტის მიმართვა ინრრას საბჭოსადმი იუგოსლავიის ხალხებისათვის გადაუდებელი დახმარების აღმოჩენისა და ინრრას წევრად ნაციონალური კომიტეტის შესვლის შესახებ.

ლიმენმა აღუთქვა, მიმართვაში დაყენებული საკითხები განსახილველად წარუდგინოს ინრრას საბჭოს უახლოეს სხდომას, რომელიც, როგორც მოელიან, ივნისში უნდა შესდგეს.

აფის საკგენეზო უნგრეთი გენერლის გაქცევის შესახებ

ლონდონი, 14 აპრილი (საკადესი). აფის საგენტო სტოკჰოლმიდან გადმოგვცემს, რომ, გაზეთ „ნიუა დაგლიგტ ალეჰანდას“ სტატიით. უნგრეთის გენერალური შტაბის თანამშრომელი გენერალი იანოშ კერტესი უნგრეთიდან გაიქცა უნგრეთში გერმანელი ჯარების შესვლისას და თან წაიღო უნგრეთის სიმაგრეთა გეგმები.

უნგრეთის ახალმა ხელისუფლებამ გენერალ კერტესს სიკვდილით დასჯის დაუსწრებელი განაჩენი გამოუტანეს.

კიზღერელი ხელმძღვანელები საზღვარგარეთ ინახავენ მათ მიერ ნაძარცვ კაპიტალს

ნიუ-იორკი, 15 აპრილი (საკადესი). როგორც „ნიუ-იორკ ჰერალდ ტრიბიუნის“ მთელ რიგ სტატიებშია აღნიშნული, ნაცისტი ხელმძღვანელები ჯერ კიდევ ომამდე შეეცადნენ საზღვარგარეთ შეენახათ თავიანთი პირადი სიმდიდრე. ინგლისის ვაშინგტონელი პასუხისმგებელი წრეების ცნობებით, გერინგმა გერმანიის საზღვრებს გარეთ 3,5 მილიონზე მეტი დოლარი გადამალა. რიბენტროპმა 3 მილიონი დოლარის უცხოური ვალუტა შეინახა საზღვარგარეთის ბანკთა განყოფილებებში. შარშან ამერიკის ხელისუფლებამ მოახდინეს ერთი ამერიკული არყისსახდელი ფირმის აქციების კონფისკაცია, რომლებიც რიბენტროპს ეკუთვნოდა; ამ ფირმას რიბენტროპი კონტროლს უწევდა 1937 წლიდან.

ჰიმლერს დაახლოებით 2 მილიონი დოლარი აქვს სამხრეთ ამერიკაში, ფინეთში და ახლო აღმოსავლეთში. ჰესმა 4 მილიონი დოლარი მოათავსა ბრაზილიაში. ცნობილ ჰიტლერელ ხელმძღვანელს ლეის გერმანიის საზღვრებს გარეთ დაახლოებით 2 მილიონი დოლარი აქვს.

სარწმუნო წყაროებიდან ცნობილია, რომ ნაცისტი ხელმძღვანელები ცდილობენ მალულად გაჰყიდონ ბუენოს-აირესში ხელოვნების საგანძურები, მათ შორის გამოჩენილ ოსტატთა ნაწარმოებნი, რაც მათ გაიტაცეს ევროპის ოკუპირებული ქვეყნებიდან.

ჰიტლერელებმა მოახერხეს ამერიკის შეერთებული შტატების ჯერ კიდევ ომში ჩაბმამდე გეზიდანაც იქ შესანახად რამდენიმე მილიონი დოლარის ძვირფასი ნივთები. ამერიკის ხელისუფლებმა ამ ძვირფას ნივთებზე დააწესეს იურიდიული კონტროლი და მომავალში გადასწყვეტენ, როგორ გამოიყენონ ისინი ნაციონალური კეთილდღეობის ინტერესებისათვის.

იტალიის ჯუნტის გადაწყვეტილება

ლონდონი, 16 აპრილი (საკადესი). რეიტერის სააგენტოს ნეაპოლელი კორესპონდენტი იუწყება, რომ იტალიის მუდმივმა აღმასრულებელმა ჯუნტამ 15 აპრილს გამოიტანა დადგენილება, რომელშიც აღნიშნულია, რომ ახლა თავიდან აცილებულია ის დაბრკოლებანი, რომლებიც აქამდე ხელს უშლიდნენ იტალიაში დემოკრატიული სამხედრო მთავრობის შექმნას. ჯუნტის ოთხსაათიანი სხდომის შემდეგ, 15 აპრილს საღამოს გამოქვეყნებულ კომუნიკეში ნათქვამია, რომ ჯუნტამ ეხედველობაში მიიღო მეფის გადაწყვეტილება სამეფოს მმართველის დანიშვნის შესახებ რომის განთავისუფლების შემდეგ, ავრეთვე მისი მინისტრების არაერთგზისი განცხადებანი იმის შესახებ, რომ ომის დამთავრებისთანავე იტალიელი ხალხი თავის დამფუძნებელ ასამბლეაში თავისუფლად გამოარკვევს სახელმწიფოს მოწყობის მომავალ ფორმას. იტალიის უმაღლესი ინტერესების მიხედვით ჯუნტა დაეინებით მოითხოვს ახალი მთავრობის სასწრაფოდ შექმნას, რომელიც პირველ ყოვლისა განთავისუფლების კომიტეტებში წარმოდგენილი ექვსი პარტიის თანამშრომლობას უნდა ემყარებოდეს. ჯუნტა ყურადღებით დაუწყებს თვალყურის დევნებას ამ მთავრობის შექმნას, რომელიც ნამდვილად დემოკრატიული, ანტიფაშისტური და გაერთიანებული ნაციონალური მთავრობა უნდა იყოს. მან უნდა აწარმოოს ომი იტალიის განთავისუფლებისათვის, ენერგიულად აღმოფხვრას ფაშისტური რეჟიმის ყველა ნაშთი, და იზრუნოს ხალხის სასიცოცხლო საჭიროებათა დაკმაყოფილებისათვის.

„მოქმედების პარტიის“ ლიდერმა ალბერტო ჩანკამ უარი განაცხადა თავის პარტიულ პოსტზე, არ დაეთანხმა რა იმას, რომ მისი პარტიის წარმომადგენელნი შესულიყვნენ მთავრობაში, რომელსაც მარშალი ბადოლიო მეთაურობს. ჩანკას გადადგომის შემდეგ ჯუნტის რეზოლუციას „მოქმედების პარტიის“ სახელით ხმა მისცა ალბერტო კალჩემ, რომელმაც ამით შესაძლებელი გახადა ჯუნტის ერთსულოვანი გადაწყვეტილება.

სამარი მოქმედება იტალიაში

ლონდონი, 15 აპრილი (საკადესი). იტალიაში მყოფი მოკავშირეთა ჯარების მთავარი შტაბი იუწყება, რომ ყველა ფრონტზე პატრულები მოქმედებდნენ.

მოკავშირეთა ავიაციამ დაბომბა მოწინააღმდეგის მთელი რიგი ობიექტები იტალიაში.

ლონდონი, 17 აპრილი (საკადესი). იტალიაში მყოფი მოკავშირეთა ჯარების მთავარი შტაბი იუწყება, რომ ყველა ფრონტზე პატრულები მოქმედებდნენ.

გუშინ მძიმე ბომბდამშენთა შენაერთები ავიაგამანადგურებელთა თანხლებით თავს დაესხნენ დამზარისხებელ სადგურებს ბრაცლავსა და ტურნუ-სევერინს (რუმინეთი), აგრეთვე საავიაციო ქარხანასა და აეროდრომს ბელგრადში. მოკავშირეთა თვითმფრინავებმა იერიში მიიტანეს მოწინააღმდეგის ობიექტებზე იტალიაში.

წუხელ ღამის ბომბდამშენები თავს დაესხნენ ბუდაპეშტს.

უცხოელ მუშათა მასობრივი გაქცევა გერმანიის ბანაკებიდან

ჟენევა, 16 აპრილი (საკადესი). შვეიცარულ გაზეთ „სიუისის“ ცნობით, გერმანიაში დღითიდღე მატულობს რიცხვი იმ უცხოელი მუშებისა, რომელნიც სტოვებენ საწარმოებს, სადაც მათ მუშაობას აიძულებენ. აგრეთვე იმ მუშებისა, რომელნიც ბანაკებიდან გარბიან. ბერლინში დიდძალი უცხოელი მუშაა, რომელნიც ქალაქს ცხოვრების დეზორგანიზაციით სარგებლობენ და არალეგალურად ცხოვრობენ. შვეიცარიელ, რომელნიც თავს არიდებენ იძულებითს შრომას, ჰქმნიან ჯგუფებს, აწყობენ თავდასხმებს და ამრიგად შოულობენ ტანსაცმელსა და საკვებს. ჯაზეთი აღნიშნავს, რომ გერმანელი ხელისუფალნი საგანგებო ღონისძიებებს ატარებენ, რათა შესწყვიტონ უცხოელ მუშათა გაქცევა, რაც ნამდვილი ეპიდემიის ხასიათს იღებს. ყოველი უცხოელ მუშა, რომელიც სამუშაოს თავს დაანებებს უნებართვოდ ადგილზევე უნდა დახვრიტოს.

უცხოეთის ქრონიკა

ამა წლის მარტში ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო ხარჯებმა მიაღწია ყველაზე დიდ დონეს—7.948 მილიონ დოლარს, რაც 140 მილიონი დოლარით აღემატება თებერვალში გაწეულ ხარჯებს. სულ 1940 წლის 1 ივლისიდან 1944 წლის 1 აპრილამდე ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო ხარჯები 176.500 მილიონ დოლარს შეადგენს.

• • •

ომის განმავლობაში ამერიკის შეერთებულმა შტატებმა არმიის შემადგენლობიდან დაკარგეს 178.481 კაცი და სამხედრო საზღვაო ფლოტის შემადგენლობიდან—43.849 კაცი.

• • •

ჩრდილოეთ იტალიაში ფართოდ არის გავრცელებული არალეგალური პრესა. მილანში, ვენეციაში, ბოლონიასა და ფლორენციაში მოსახლეობის უმეტესობა ყოველდღიურად კითხულობს არალეგალურად გამოცემულ გაზეთებს.

• • •

კანადამ ხელი მოაწერა ურთიერთდახმარების შეთანხმებას ნაციონალური განთავისუფლების საფრანგეთის კომიტეტთან.

ნაციონალური განთავისუფლების საფრანგეთის კომიტეტის გადაწყვეტილებით დამთავრდა სახსრების შეგროვება წინააღმდეგობის იმ ორგანიზაციათა დახმარების ფონდისათვის, რომელნიც საფრანგეთში მოქმედებენ. 24 მარტისათვის შეგროვებული იყო 466.541 ათასი ფრანკი.

• • •

საბჭოთა კავშირის მეგობართა საზოგადოებამ ბომბეიში სრულიად-ინდოეთის ქალთა კონფერენციის დელეგატებისათვის მოაწყო ჩვენება საბჭოთა თილმისა „ქალი სამშობლოს იცავს“, დაესწრო ათასამდე კაცი.

• • •

ინგლისმა ბომბდამშენი ავიაციის ციდეგ ერთი აეროდრომი გადასცა ამერიკის შეერთებულ შტატებს. ეს ერთ-ერთი ყველაზე დიდი საჰაერო ბაზაა ინგლისში. აეროდრომის აგებაზე მუშაობდა ათასი ინგლისელი მუშა. მისი ბეტონის საფრენოსნო გზების საერთო სიგრძე 100 მილს აღწევს.

• • •

ომის დაწყებიდან ინგლისის სამოქალაქო მოსახლეობის ზარალი საჰაერო თავდასხმების შედეგად შეადგენს: 49.876 კაცს მოკლულთა სახით და 64 ათასზე მეტ კაცს დაჭრილთა სახით.

შვეიცარიის ქალაქ ჰელსინგბორგის საბაჟოელებმა დააკავეს შვეიცარიის ერთი პარტია სამხედრო რუკები, რომელიც ფარულად გადაჰქონდათ ოსლოში. ეს რუკები ამას წინათ დაბეჭდა გერმანულმა ფირმამ. რამდენიმე ხნის წინათ ასეთივე რუკები დააკავეს გერმანელთა საბარგო ვაგონში, რომელიც შვეიციიდან ფინეთს იგზავნებოდა.

• • •

ოკუპაციის განმავლობაში ჰიტლერელებმა საფრანგეთში დახვრიტეს დაახლოებით 100 ათასი კაცი. ამა წლის იანვრის ბოლოს საფრანგეთის საკონცენტრაციო ბანაკებსა და საპატიმროებში იმყოფებოდა 312 ათასი ფრანგი.

• • •

ლიბერია შეუერთდა ატლანტიკის ქარტიას და გაერთიანებული ერების დეკლარაციას.

• • •

ჩინეთის მთავრობამ გამოუშვა „მოკავშირეთა გამარჯვების სესხი“. სესხი გამოშვებულია სახსრების მობილიზაციის მიზნით ომის საწარმოებლად, ჩინეთის რეკონსტრუქციისა და საბაზრო ფასების სტაბილიზაციისთვის. სესხის საერთო თანხა შეადგენს 3 მილიარდ ჩინურ დოლარს (საკადესი).

მოქმედი არმია. (უკრაინის 1-ლი ფრონტი). სანალმმტყორცნო გუნდმა, სადაც დამტენად არის რიგითი მებრძოლი კურცევი და მიმწოდებლად რიგითი მებრძოლი სტროხარი, იუენი ბუგის მარცხენა ნაპირიდან მარჯვენა ნაპირზე სროლის დროს ერთ დილას მოსპო ჰიტლერელთა ტყვიამფრქვევი და ათეული.

ფოტო ვ. იუდინისა (საკადესის ფოტოქრონიკა).

საბჭოთა სახალხო დაცვის XXVI წელი

ოცდაექვსი წლის წინათ, 1918 წლის 18 აპრილს, საბჭოთა სახელმწიფოს ფუძემდებელმა ვ. ი. ლენინმა ხელი მოაწერა დეკრეტს „ცეცხლთან ბრძოლის სახელმწიფო ზომების ორგანიზაციის შესახებ“. ლენინის დეკრეტმა საჭირველი ჩაუყარა საბჭოთა სახალხო დაცვას.

ჩვენი ქვეყნის სამეურნეო და თავდაცვითი ძალიერების აღმავლობასთან ერთად, იზრდებოდა და მტკიცდებოდა საბჭოთა სახალხო დაცვა, მალლდებოდა მის მებრძოლთა და მეთაურთა პოლიტიკურ-კულტურული დონე. გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ სამამულო ომი აგრეთვე გახდა სახალხო დაცვის ნაწილების ბრძოლისუნარიანობის მკაცრი შემოწმება. გმირობის, შემაცის, გამბედაობისა და ბოლშევიკური სიმტკიცის განსაკუთრებული მაგალითები გვიჩვენეს ფაშისტური ავიაციის თავდასხმისა და საარტილერიო ცეცხლის პირობებში ლენინგრადის, მოსკოვის, სტალინგრადის, ოდესის, სევასტოპოლის, გროზნოს და სხვა ქალაქების სახალხო დაცვის მუშაკებმა. პირადმა შემადგენლობამ გამოიჩინა მაღალი ორგანიზებულობა ხანძრებთან სწრაფი და ენერგიული ბრძოლის უნარი. ომის დღეებში სახალხო დაცვის ბევრმა მებრძოლმა და მეთაურმა თავიანთის უმაღლესი ჯილდოები მიიღეს.

მხოლოდ მას შემდეგ, რაც საქართველოში საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა, სახალხო დაცვამ მიიღო შესაძლებლობა შესდგომოდა აქტიურ მუშაობას სახალხო რაზმების მეცანიზაციისათვის თბილისში, ბათუმში, სოხუმში, ქუთაისში, ფოთში. რესპუბლიკის დანარჩენ ქალაქებსა და დიდ დასახლებულ პუნქტებში შეიქმნა სახალხო დაცვის ნაწილები, აღიზარდნენ ახალი კადრები.

განსაკუთრებით დიდ წარმატებებს მიაღწია სახალხო დაცვამ მას შემდეგ, რაც შინსახკომს სათავეში ჩაუდგა დიდი **სტალინის** უახლოესი თანამებრძოლი ამხანაგი **ლ. პ. ბერია.**

ყოველწლიურად იზრდება საქართველოში ახლად ორგანიზებული საქალაქო და გასაქანდრებული სახალხო რაზმების რაოდენობა, ისინი დაკომპლექტებულია ადამიანებით, რომლებიც დაუფლებული არიან სახალხო ტექნიკას.

საქართველოს საკოლმეურნეო სოფელი ყოველწლიურად აძლიერებს თავის სახალხო უშიშროებას. სოფლის საბჭოებთან, საბჭოთა მეურნეობებთან, მტს-ებთან და კოლმეურნეობებთან ჩამოყალიბებულია მოხალისეთა სახალხო რაზმეულები, რომლებსაც აქვთ საბრძო ინვენტარი და სახალხო მოწყობილობა.

საქართველოს სსრ შინსახკომის სახანძრო დაცვამ სრულიად-საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში 1942 წლის მე-4 კვარტალში მოიპოვა საკავშირო პირველობა, გარდამავალი წითელი დროშა და მიიღო სახანძრო დაცვის მთავარი სამმართველოს და სახანძრო დაცვის მუშაკთა კავშირის ცენტრალური კომიტეტის სიგელი. ამ საპატიო ადგილსა და დროშას საქართველოს სახანძრო დაცვის მუშაკები დღემდე მტკიცედ ინარჩუნებენ.

რესპუბლიკის სახანძრო დაცვის განმტკიცების საქმეში აქტიურ მონაწილეობას იღებენ მოსახლეობის ფართო მასები, რომლებიც ორგანიზებულნი არიან ხანძარსაწინააღმდეგო რაზმებში, რაზმებში, მოხალისეთა სახანძრო რაზმეულებში, ნებაყოფლობითს სახანძრო საზოგადოებებში, კომკავშირულ ოცეულებში და ნორმ მებხანძრეთა რაზმეულებში.

საქართველოს სახანძრო დაცვის მუშაკები აქტიურ მონაწილეობას იღებენ ჩვენი ქვეყნის თავდაცვის ფონდის შექმნაში, ჩვენი ძლევამოსილი წითელი არმიისათვის საჩუქრებისა და თბილი ნივთების შეგროვებაში.

1943 წლის დამლევს საქართველოს სახანძრო დაცვამ აიღო შეფობა კრასნოდარის მხარის სახანძრო დაცვაზე და ამ ხნის განმავლობაში უკვე გაუგზავნა მას ერთი ვაგონი ხანძარსაწინააღმდეგო მოწყობილობა, ინვენტარი, საკვები პროდუქტები, აგრეთვე ფულადი სახსრები. ეს მუშაობა ფართოვდება. უკვე მზად არის გასაგზავნად მებრძოლთა და მეთაურთა მიერ დამატებით შეგროვებული საჩუქრები.

რესპუბლიკის ხანძარსაწინააღმდეგო თავდაცვისა და სახანძრო დაცვის ნაწილთა ბრძოლისუნარიანობის განმტკიცების საქმეში თვალსაჩინო მიღწევათა მიუხედავად, ერთი წუთითაც არ შეიძლება მივეცეთ თვითდამშვიდებასა და უზრუნველობას. სახანძრო დაცვის მუშაობაში ნაკლოვანებანი ჯერ კიდევ არის. საქართველოს შინსახკომის სახანძრო დაცვის მუშაკები რაზმავენ მოელ თავის ძალებს, იყენებენ ყველა შესაძლებლობას ხანძრიანობისა და მისგან გამოწვეული ზარალის აღმოსაფხვრელად.

საჭიროა მთელი მოსახლეობა, დაწესებულებებისა და ობიექტების ყველა ხელმძღვანელი, საცხოვრებელი სახლის მმართველი და ყველა მოქალაქე ზუსტად იცავდეს ხანძარსაწინააღმდეგო რეჟიმს. ეს უდიდეს დახმარებას გაუწევს საქართველოს სახანძრო დაცვას.

სახელმწიფო უშიშროების პოდპოლკოვნიკი
ზ. გულსტი.

საქართველოს სსრ შინსახკომის სახანძრო დაცვის სამმართველოს უფროსი.

თათბირი საბავშვო ლიტერატურის საკითხებზე

დღეს, 18 აპრილს, საღამოს 7 საათზე საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტი თავის სხდომის დარბაზში იწვევს თათბირს საბავშვო ლიტერატურის საკითხებზე. მოხსენებას თემაზე: **„სამამული ომი და ქართული საბავშვო წიგნი“** გააკეთებს ამხ. ნ. ჩაჩავა.

თათბირზე მოწვეული არიან საბჭოთა მწერლები, მხატვრები, საბავშვო წიგნის ავტორები, გამომცემლობების წარმომადგენლები, პედაგოგები და კომკავშირული მუშაკები.

ჯ. მარჯანიშვილის ხსოვნის სპექტაკლი

დღეს, 18 აპრილს, მარჯანიშვილის სახელობის თეატრი აღნიშნავს ჯ. მარჯანიშვილის გარდაცვალების 11 წლისთავს. წარმოდგენილი იქნება ჯ. მარჯანიშვილის დადგმით გუცკოვის ტრაგედია „ურიელ აკოსტა“.

მთავარ როლებს ასრულებენ: სახალხო არტისტები ვ. ანჯაფარიძე (ივდითი), შ. ღამბაშიძე (დე-სილვა), ა. ჟორჟოლიანი (ბენ-აკიბა), დამსახურებული არტისტი ჰ. კობახიძე (ურიელ), მსახიობები გ. კოსტავა (დე-სანტოს) და თ. ჩარკვიანი (ურიელის დედა).

კონსულტაცია

19 აპრილს, საღამოს 8 საათზე, საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის კეცხოველის სახელობის საქალაქო პარტკაბინეტში (ლენინის ქ., 41) საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის დამოუკიდებლად შემსწავლელთათვის შესდგება ამხ. **თავხელიძისა** და **მახარაძის** კონსულტაცია რუსულ და ქართულ ენებზე. თემა: **„როგორ შევისწავლოთ დამოუკიდებლად საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსი“.**

მწერალთა კავშირში

ხუთშაბათს, 20 აპრილს, საღამოს 8 საათზე, მწერალთა კლუბში შესდგება გ. ნატროშვილის ნარკვევების წიგნის „დასავლეთის ფრონტის“ საჯარო განხილვა. მოხსენებას წიგნის შესახებ გააკეთებს ლ. ასათიანი. სიტყვებით გამოვლენ მწერლები და მკითხველები.

დასწრება თავისუფალია. —8

ლექცია

19 აპრილს, საღამოს 6 საათზე, საქართველოს კ. პ. (ბ) მოლოტოვის რაიკომის პარტკაბინეტში (პლეხანოვის, 83) შესდგება ამხ. მახარაძის ლექცია რუსულ ენაზე. თემა: **„ბოლშევიკების პარტია უცხოეთის სამხედრო ინტერვენციისა და სამოქალაქო ომის პერიოდში“.** დასწრება თავისუფალია.

სემინარი

18 აპრილს, საღამოს 8 საათზე, საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის კეცხოველის სახელობის საქალაქო პარტკაბინეტში (ლენინის ქ., 41) მოწვეულია ძირეული პრესის მუშაკთა სემინარის მორიგი მეცადინეობა თემაზე: **„ეროვნული საკითხი“.**

სემინარს ჩაატარებენ ამხ. თოდრაძე და ამხ. **გენძეხაძე.**

თეატრებში

18 აპრილს: სახელმწიფო ოპერა—„პერიკოლა“. **მარჯანიშვილის** სახელობის—„ურიელ აკოსტა“. **სომხური** — „დავიდ ბეგ“. **აბუნდოვის** სახელობის — „ლეილი და მაჯნუნი“. **მუსკომედიის** — „როზ-მარი“. **მოზარდი მაყურებლის** — ქართული — „ჰაიდარი“.

კინოებში

18 აპრილს: **რუსთაველის** სახელობის — „დოშბრის ხმაზე“. **ოქტომბერი** — „ცირკი“. **დამკვრელი** — „მელოდე“. **სპარტაკი**—„ჯორჯი დინკი-ჯაზიდან“. **კომკავშირელი** — „ანტონ ივანეს-ძე ჯავრობს“. **ლუქსემბურგის** სახელობის — „ორი მებრძოლი“. **26 კომისრის** სახელობის — „ჭაბუკი ჩვენი ქალაქიდან“.

ჩვენ ვკითხულობთ

ლექციას პასუხი ინდოეთიდან მოეთხოვოს

შარშან გამიტეხეს ბინა და წაიღეს ყველაფერი რაც კი სახლში მქონდა. სათანადო ორგანოების დახმარებით ქურდები აღმოჩენილ იქნა. ამ საქმის გამო პასუხისგებაში იქნენ მიცემული სერგო ჩერნიშოვი და ფილიპე კუზნეცოვი. თბილისის 26 კომისრის რაიონის II უბნის სახალხო სასამართლომ გასული წლის 13 ივლისს ქურდებს ჩერნიშოვს და კუზნეცოვს მიუსაჯა 5-5 წლით თავისუფლების აღკვეთა და მათვე დააკისრა 38.850 მანეთის გადახდა ჩემს სასარგებლოდ. სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღებიდან საკმაო დრო გავიდა, ქურდები ისევ თბილისის ქუჩებში თავისუფლად დასეირნობენ, ხოლო მათ მიერ ჩემთვის მოყენებული ზარალი დღემდე ანაზღაურებული არ არის სასამართლოს აღმასრულებლის ლექციას დაუდევრობით, რომელიც ცხრა თვის განმავლობაში განგებ აშიანურებს სასამართლოს განაჩენის სისრულეში მოყვანას.

გ. პაპიაშვილი

როდის შეგვიკეთებენ სახურავს?

1943 წელს წვიმების დროს ჩვენი სახლის (ძერჟინსკის ქ. № 32) სახურავი ჩამოინგრა, ეს დროულად ეცნობა ბერიას რაიონის საბანაო სამმართველოს უფროსს ამხ. თარხანოვს, რომელმაც განცხადებას წააწერა: „ამხ. ნიკურაძეს. საჩქაროდ შეაკეთეთ“.

საბინაო სამმართველოს კომისიამ ბინა აღგილზე რომ დაათვალიერა, გაკვირვება გამოსთქვა, როგორ შეეძლო მობინადრეს ასეთ დაზიანებულ ბინაში ცხოვრებაო. მაგრამ კომისია ჩვენ ბინიდან რომ წავიდა, ეს აღმაშფოთებელი ფაქტი მივიწყებულ იქნა. გავიდა რამდენიმე თვე, დაიწყო წვიმები. ოთახში გაჩერება აღარ შეიძლებოდა. ისევ მიემართეთ თარხანოვს დახმარებისათვის. ამხ. თარხანოვმა მეორედ წააწერა განცხადებას რეზოლუცია: „კომენდანტს. საჩქაროდ შეაკეთეთ“. გავიდა კიდევ რამდენიმე თვე, და ბინის შეკეთებას ისევ ფიქრობს. სახლი ინგრევა. საბინაო სამმართველოს უფროსი ამხ. თარხანოვი კი არ ფიქრობს გაკეთებულ განკარგულებათა შესრულება შეამოწმოს.

ა. რუხაძე

„კომუნისტის“ წერილების კვალდაკვალ

„რატომ არ მუშაობს რადიო-სატრანსლაციო ქსელი?“

ამ სათაურით გაზეთ „კომუნისტის“ მიმდინარე წლის 1 მარტის ნომერში დაიბეჭდა ი. ნუცუბიძის კორესპონდენცია, რომელიც გვატყობინებდა, რომ სოფელ პატარა ლილოსა და სოფელ ლენინისში (თბილისის რაიონი) რადიო-სატრანსლაციო ხაზების დაზიანების გამო რადიოწერტილები არ მუშაობენო.

ამ კავშირის კავშირგაბმულობის სახალხო კომისარიატის რწმუნებული საქართველოში ამხ. ი. მონიავა გვატყობინებს, რომ წერილში აღნიშნული ფაქტები დადასტურდა. კავშირგაბმულობის თბილისის რაიონის ხელმძღვანელებს ამხ. შალიბაშვილს, რომელმაც ვერ უხელმძღვანელა რადიო-სატრანსლაციო ქსელის ექსპლოატაციას, გამოეცხადა საყვედური, ამხ. კოზლოვს მასზე მინაგრებული სამუშაო უბნისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულებისათვის გამოეცხადა სასტიკი საყვედური. ამხ. კაჩეროვს და კირაკოზოვს — საყვედური.

ფეხბურთი

მოსკოვი — თბილისი

კვირას, 16 აპრილს, ლ. პ. ბერიას სახელობის „დინამოს“ სტადიონზე შესდგა საინტერესო საწვრთნელი ამხანაგური მატჩი ფეხბურთში. ერთმანეთს შეხვდნენ მოსკოვის ჩემპიონ „ცსკა“-ს და თბილისის „დინამოს“ ოსტატ ფეხბურთელთა გუნდები.

თამაში ჩქარი ტემპით დაიწყო. პირველ წუთებში ინიციატივა ხელიდან ხელში გადადიოდა. ორივე გუნდის კარებთან იქმნებოდა კრიტიკული მომენტები, მაგრამ როგორც მოსკოველთა, ისე თბილისელთა დაცვა წარმატებით იგერიებდა თავდასხმელთა განუწყვეტელ იერიშებს. ტაიმის შუა წუთებში თამაშში გადავიდა თბილისელთა საჯარიმო მოედანზე. 23-ე წუთზე მოსკოველებმა ზედიზედ მოაწოდეს ექვსი კორნერი, მაგრამ „შედეგოდ. 30-ე წუთზე „ცსკა“ დაჯარიმდა 11-მეტრიანი საჯარიმო დარტყმით და თბილისელმა თ. გავაშელმა გახსნა ანგარიში. ტაიმი დამთავრდა თბილისელთა სასარგებლოდ — 1 : 0.

მეორე ტაიმი დაიწყო მოსკოველთა იერიშებით. ისინი ცდილობენ ანგარიშის გათანაბრებას. მე-20 წუთზე გ. ფედოტოვმა 35 მეტრიდან მძლავრად დაარტყა ბურთი თბილისელთა კარისაკენ, მაგრამ მეკარე ტყუბურავამ დიდი ოსტატობით მოიგერია იგი. 28-ე წუთზე გარემარბმა გრინინმა კორნერიდან მოაწოდა ბურთი, რაც კარად გამოიყენა შილოვსკიმ და თავური გარტყმით გაათანაბრა ანგარიში. ტაიმის ბოლომდე ანგარიში უცვლელი დარჩა. მატჩი დამთავრდა ფრედ—1 : 1.

ა. ჩითელი

მოსკოვის „დინამოს“ გუნდი თბილისში

ამჟამად თბილისში იმყოფება ჩვენი ქვეყნის ჩემპიონი ფეხბურთში—მოსკოვის „დინამოს“ გუნდი, ამ კვირაში ეს გუნდი ლ. პ. ბერიას სახელობის „დინამოს“ სტადიონზე ჩაატარებს რამდენიმე ამხანაგური მატჩს. დღეს, 18 აპრილს, ჩემპიონი შეხვდება წითელი არმიის თბილისის სახლის გუნდს, ხოლო 22 აპრილს — ქ. თბილისის ნაკრებ გუნდს. მატჩების დასაწყისი 5½ საათზე.

განსაკუთრებით საინტერესოა ჩემპიონის შეხვედრა თბილისის